ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 10 აგვისტო, 2017 №188 (7423) ფასი: 50 თეთრი

იანოშ ჰერმანი: „ევროკავშირი არჩევნების მიმდინარეობის პროცესს მკაცრად დააკვირდება“

გვ.2

10 აგვისტოდან

100 წიგნი

ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

პინოჩეტი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

„უსუფაშვილის პარტია „ოცნებას“ ჩაანაცვლებს“

გვ.3

ნიკოლოზ მჟავანაძე: „თავისუფალი დემოკრატები პატრიარქის წინააღმდეგ გამოდიან“

ყველაზე მეტად ამ შეხვედრაზე დავით უსუფაშვილის გამოჩენა გამიკვირდა. ამ ადამიანს ჯერ პარტიის შექმნა დასრულებული არა აქვს, რომ პენსთან შეხვედრაზე მიიწვიეს. ეს შემთხვევით არ მომხდარა. უკვე მიდის საუბარი იმაზე, რომ „ოცნება“ უსუფაშვილის პარტიამ უნდა ჩაანაცვლოს. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამაზე სერიოზული მუშაობა მიდის.

უშველის თუ არა ხაჯიმბას და ოკუპირებული რეგიონის ეკონომიკას პუტინის მხარდაჭერა

გვ.5

პუტინის ჩასვლა აფხაზეთში ნატომაც გააპროტესტა

„აფხაზები უკვე ხვდებიან, რომ ოკუპირებულები არიან“

გვ.4

გია გვაზავა: „პუტინმა აფხაზებს ძალა აჩვენა“

„ოცნება“ მერობის კანდიდატების წარდგენას აგვისტოს ბოლოს დაიწყებს

გვ.4

ISSN 1987-9385

დავით ზურაბიშვილი: „თბილისში მეორე ტურის ალბათობა მაღალია“

გვ.2

დავით ზურაბიშვილი: „თბილისში მეორე ტურის ალბათობა მაღალია“

ნათია ხურცილავა



რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი დავით ზურაბიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიციას ერთი კანდიდატი ჰყავდეს. თუმცა, როგორც ჩანს, ეს რთულად მისაღწევი ამოცანაა ოპოზიციისთვის. შეიძლება მართლაც უალტერნატივო კანდიდატი იყოს კალაძე, როგორც ხელისუფლება აცხადებს?

– არავითარ შემთხვევაში. არანაირად არ არის კალაძე უალტერნატივო კანდიდატი ამ არჩევნებში. ჩვენ ვაპირებთ არჩევნებში მონაწილეობას.

– თქვენს პარტიას მერობის კანდიდატი ეყოლება?

– ამის თაობაზე ჯერ ვერ მოგახსენებთ. რა თქმა უნდა, ჩვენ გვექნება ძალიან ცალსახა და მკაფიო პოზიცია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით ზოგადად რეგიონებშიც და, ცხადია, თბილისის მერის არჩევნებშიც. ამის შესახებ ღიად განვაცხადებთ მაშინ, როდესაც წინასაარჩევნო კამპანიაში ოფიციალურად ჩავერთვებით. ახლა მეტის თქმა ნამდვილად გამიჭირდება.

– თქვენი პარტია მხარს ალეკო ელისაშვილს უჭერდა, ეს ასე არ იქნება?

– ჩვენ მართლაც გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება ალეკო ელისაშვილის მიმართ, მაგრამ უფრო კონკრეტულად როგორ იქნება, ამის შესახებ მოგვიანებით შემიძლია გითხრათ.

– არ არის გამორიცხული, რომ თქვენი კანდიდატი გყავდეთ?

– ასეთი არაფერი მითქვამს, ჯერ ვერაფერს ვერ გეტყვით. ძალიან მალე გვექნება პოზიცია და როდესაც საარჩევნო კამპანიაში ჩავერთვებით, ყველაფერს მოგახსენებთ.

– თავისუფალ, კონკურენტუნარიან არჩევნებს ელოდებით?

– დაახლოებით იგივე იქნება, რაც იყო. სიმართლე გითხრათ, დიდ ცვლილებებს არ ველოდები. იდეალური არჩევნებისგან შორს იქნება. დარწმუნებული ვარ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება აუცილებლად იქნება. თუ რა ფორმებს შეიძენს ეს ყოველივე და რაოდენ შორს წავა, არ ვიცი, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ისე შორს არ იქნება წასული, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს არჩევნების შედეგები. ისე, ყველა ხელისუფლება და ეს ხელისუფლებაც ადმინისტრაციულ რესურსს იყენებდა არჩევნებზე.

– თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ არაფერში არ სჭირდებათ სახელისუფლო რესურსი და უკვე მერამდენე წელია, რაც თავისუფალი არჩევნები ტარდებაა. ასე არ არის?

– ყველა ხელისუფლება ამას ამბობს, რომ მას არაფერში არ სჭირდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მაგრამ მერწმუნეთ, ყველა ტყუის, როდესაც ამას ამბობს. როგორც გითხარით, ზომას გააჩნია. მთავარია, რეალურად აისახოს მოსახლეობის განწყობები არჩევნების შედეგებზე და არ მოხდეს მისი ხელოვნურად შეცვლა, ეს არის მთავარი და მნიშვნელოვანი. მთლად იდეალური რომ ვერ იქნება, ეს უკვე ვიცით, მაგრამ გაყალბების მექანიზმების ჩართვასაც და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასაც თავისი ზღვარი აქვს. მაგალითად, პოსტსაბჭოთა პერიოდში დიქტატორულ რეჟიმებში, თუნდაც აჭარაში, ასლან აბაშიძის რეჟიმის დროს, საერთოდ არ ტარდებოდა არჩევნები, არჩევნები მხოლოდ ფორმალურად იყო, რაც უნდოდათ, იმას წერდნენ. არჩევნების სერიოზული გაყალბება იყო შევარდნაძის, საკაშვილის მმართველობის დროს, როდესაც სასურველს რეალობად ასაღებდნენ. ამ ხელისუფლების დროს, მაგალითად, პრეზიდენტის არჩევნების დროს, ნამდვილად არაფერი არ ყოფილა, სუფთად ჩატარდა, ვერაფერს ვერ ვიტყვი, მაგრამ ნელ-ნელა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ჩაერთო საარჩევნო პროცესში. კარგად გვახსოვს კორცხელის ინციდენტი, როდესაც ე.წ. ზონდერ-ბრიგადები ჩაერთნენ პროცესში, მოჭიდავეები გამოჩნდნენ. ეს არის ჩვენი ძველი გამოცდილება, ახლა როგორ იქნება, არ ვიცი, ვნახოთ. რასაკვირველია, რომ სასურველია თავისუფალი, ნორმალური არჩევნები ჩატარდეს. ისე ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული საზოგადოების აქტიურობაზე.

– იქნება აქტიური? ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, როგორც წესი, ამომრჩეველი ნაკლებ აქტიურია.

– ტრადიციულად მართლაც ნაკლებად აქტიურია, თუმცა, თბილისში მერის არჩევნებში გარკვეული ინტრიგა არის.

– კონკრეტულად?

– ალეკო ელისაშვილის მონაწილეობა ამ არჩევნებს გარკვეულ ინტრიგას მართლაც სძენს.

– ბატონო დავით, თუ კალაძე გაიმარჯვებს, ექსპერტები ამბობენ, რომ ნარმანიასგან განსხვავებული მერი იქნება. ეთანხმებით ამ პოზიციას?

– ვერ დავეთანხმები ამ პოზიციას. არა მგონია ასე იყოს, მეეჭვება, რომ ასე იყოს. პირველ რიგში, ან გაიმარჯვებს, ან – არა. მეორე, ამ ხელისუფლების კანდიდატი იქნება ისეთი, როგორიც იყო ნარმანია, ხელისუფლებასთან დაპირისპირებას თუ არ აპირებს. ხელისუფლების პოლიტიკა არის ის, რაც არის. მხოლოდ ნარმანიას პიროვნული ფაქტორით არ არის გამოწვეული ის რეალობა, რაც დღეს გვაქვს დედაქალაქში, ეს არის ხელისუფლების პოლიტიკა და მიდგომა დედაქალაქის მართვის მიმართ. თუ კალაძე გაიმარჯვებს, გაგრძელდება ის პოლიტიკა, რაც დღეს არის.

– არ ეთანხმებით პოზიციას, რომ კალაძე არის დამოუკიდებელი და მას მეტის მიღწევის სურვილი აქვს, თუნდაც პირად კარიერაში?

– თუ კალაძე ოპოზიციაში აპირებს წასვლას, მაშინ არ ვიცი, ისე არაფერი მსგავსი არ ეტყობა და ამიტომაც არ ვიზიარებ ამ შეხედულებას.

– რეალურ კონკურენციას ვისა და ვის შორის ხედავთ?

– ვფიქრობ, რომ ელისაშვილი არის სერიოზული კონკურენტი, უდუმაშვილსაც აქვს რაღაც შანსები, მაგრამ პირველ რიგში მაინც ალეკო ელისაშვილს დავაყენებდი.

– თბილისში მეორე ტური იქნება?

– მე ვფიქრობ, რომ თბილისში მეორე ტურის ალბათობა ძალიან მაღალია.

„ჩვენი ჯიბიდან ამ უწყებამ 20 მილიონზე მეტი მიიღო“

უდუმაშვილი კრიზისების მართვის საბჭოს გაუქმებას ითხოვს

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ კრიზისების მართვის საბჭო უნდა გაუქმდეს, გამოთავისუფლებული რესურსი კი შესაბამისი უწყებების გაძლიერებას მოხმარდეს.

აღნიშნულის შესახებ 10 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე პარტიის მერობის კანდიდატმა ზალიკო უდუმაშვილმა ისაუბრა.

– 8 აგვისტოს ჩვენ კიდევ ერთხელ გავხდით მომსწრე, თუ რამდენად უმოქმედოა ხელისუფლება კრიზისულ ვითარებებში. რომ არა მეხანძრეების თავდადებული მუშაობა, ხანძრის შედეგი შესაძლოა გაცილებით მძიმე ყოფილიყო. და ეს იმ დროს, როდესაც მთავრობაში უკვე სამი წელია კრიზისების მართვის საბჭო ფუნქციონირებს. თუმცა, რას ემსახურება ეს უწყება, დღემდე გაურკვეველია.

კრიზისების მართვის საბჭო რეალურად „ქართული ოცნების“ პოლიტიკური პენსიონერების თავშესაფარს წარმოადგენს, რომლის შენახვაც ბიუჯეტს ყოველწლიურად 3 მილიონნახევარი უჯდება და აქედან 2 მილიონ-ნახევარი მხოლოდ სახელფასო ფონდია. იქ დასაქმებული 78 ადამიანის საშუალო ხელფასი კი უპრეცედენტოდ მაღალი – 2600 ლარია.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენი ჯიბიდან ამ უწყებამ 20 მილიონზე მეტი მიიღო.

ეს უწყება რომ არაქმედითუნარიანია, ჯერ კიდევ 13 ივნისის სტიქიის დროს გამოჩნდა. გუშინ კი საერთოდ არ ჩართულა მთაწმინდაზე გაჩენილი ხანძრის ლიკვიდაციის პროცესში. ამიტომ, უმოქმედო საბჭო უნდა გაუქმდეს, გამოთავისუფლებული რესურსები კი შესაბამისი უწყებების ტექნიკურ აღჭურვასა და გაძლიერებას უნდა მოხმარდეს.

რაც შეეხება მაკოორდინირებელ ფუნქციას, რომელიც დღეს კრიზისების მართვის საბჭოს ფორმალურად აკისრია, ეს მთავრობის პირდაპირი პასუხისმგებლობაა, – აღნიშნა უდუმაშვილმა..

ნიუპოსტი

რატომ არ მოხდა მთაწმინდაზე გაჩენილი ხანძრის დროს „სუპერ პუმების“ გამოყენება

საავიაციო დეპარტამენტის განმარტება

სასაზღვრო პოლიციის ავიაციის მთავარი სამმართველოს მფრინავი იოსებ არჯევანიშვილი განმარტავს, თუ რატომ არ მოხდა გუშინ მთაწმინდაზე გაჩენილი ხანძრის დროს „სუპერ პუმების“ გამოყენება.

როგორც არჯევანიშვილი აცხადებს, „სუპერ პუმების“ გამოყენება სამაშველო ოპერაციების დროს დაუშვებელია და მას ამ ფუნქციის შესრულება არ შეუძლია.

– როგორც იცით, ორი „სუპერ პუმა“, რომელიც არის ჩვენს ბალანსზე, თანამედროვე აღჭურვილობისაა. წინამორბედმა მთავრობამ შეიძინა ეს ვერტმფრენები, რომელსაც დღეს ვიყენებთ მხოლოდ სასაზღვრო მონიტორინგისთვის. ამ ვერტმფრენების გადაკეთება არ მოხერხდება. ეარბასს ისეთი ხელშეკრულება აქვს დადებული, რომ მხოლოდ გადაიცვლება და მიდის მოლაპარაკება, რომ სამ სამაშველო ვერტმფრენზე გადაიცვალოს, – აღნიშნა არჯევანიშვილმა.

ნიუპოსტი

იანოშ ჰერმანი: „ევროკავშირი არჩევნების მიმდინარეობის პროცესს მკაცრად დააკვირდება“

ნაციონალური მოძრაობის თბილისის მერობის კანდიდატი ზაალ უდუმაშვილი და პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გრიგოლ ვაშაძე ევროკავშირის ელჩს საქართველოში იანოშ ჰერმანს შეხვდნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნაციონალური მოძრაობის პრესსამსახურიდან აცნობეს, შეხვედრაზე საუბარი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს შეეხებოდა.

ევროკავშირის ელჩი წინასაარჩევნო გარემოთი დაინტერესდა. ზაალ უდუმაშვილმა ელჩს საარჩევნო პროგრამა გააცნო.

ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით, შეხვედრაზე ჰერმანმა აღნიშნა, რომ ევროკავშირი მკაცრად დააკვირდება არჩევნების მიმდინარეობის პროცესს, თუ რამდენად იქნება კავშირში ევროპულ ღირებულებებთან და იმ სტანდარტთან, რომელსაც ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„უსუფაშვილის პარტია „ოცნებას“ ჩაანაცვლებს“

შორენა მარსაგიშვილი

რას ემსახურება თავისუფალი დემოკრატების ინიციატივა, შეიცვალა თუ არა მოსკოვის რიტორიკა, რა გადაწყდა აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრაზე, რისთვის ამზადებენ უსუფაშვილს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

– თავისუფალი დემოკრატები გამოვიდნენ ინიციატივით, რომ ხელისუფლების გარდა, რუსეთთან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოლაპარაკებები დასჯადი გახდეს. ამ ინიციატივამ თქვენ ძალიან გაგაბრაზათ და რა არის ამაში აღსაშფოთებელი?

– სანამ აღშფოთების მიზეზებზე ვისაუბრებ, ამ პარტიის თავმჯდომარეზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. შალვა შავგულიძეს მე ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. ის ნაციონალების რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა. რამდენიმე კვირის წინ ეს ადამიანი იმ მარშზე ვიხილე, რომელიც გიგა ბოკერიამ მოაწყო. ამ მარშში ძირითადად მარგინალი ტიპები მონაწილეობდნენ.

შალვა შავგულიძე იყო სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი და ის გირგვლიანის მკვლელების გვერდით არ უნდა დამდგარიყო.

ახლა რაც შეეხება მათ საკანონმდებლო ინიციატივას – თავისუფალი დემოკრატების აზრით, რუსეთთან მოლაპარაკება მხოლოდ სახელმწიფოს უნდა შეეძლოს. სხვები ამას თუ გააკეთებენ, მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს. ამათი ინიციატივა თუ ძალაში შევიდა, საქართველოს პატრიარქს პატიმრობა ემუქრება.

– პატრიარქს რატომ ემუქრება პატიმრობა?

– ამ ინიციატივის თანახმად, პატიმრობა პატრიარქთან ერთად სხვა სასულიერო პირებსაც ემუქრება. ჩვენს საპატრიარქოს ძალიან ახლო ურთიერთობები აქვს რუსეთთან. აწარმოებენ მოლაპარაკებებს და ამ მოლაპარაკებებით უამრავი სასიკეთო რამე გაკეთდა.

– რა გაკეთდა?

– მოსკოვში ერთი ჩასვლით და პუტინთან ერთი შეხვედრით ჩვენმა პატრიარქმა საჩხერის რაიონის სოფელი პერევი გაათავისუფლა, რომელიც რუსებმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაიკავეს.

რუსეთთან მოლაპარაკებების შედეგი იყო ის, რომ პატრიარქმა ბრძოლის ველიდან დაჭრილი და დახოცილი ქართველი მეომრები გამოიყვანა.

შედეგი იყო ის, რომ საპატრიარქოს თხოვნით, ომის მიმდინარეობისას, რუსეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს არავინ შეხებია.

საპატრიარქოს წარმოებული მოლაპარაკებების დამსახურებაა, რომ რუსეთის ეკლესიამ, საერო ხელისუფლებისგან განსხვავებით, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა არ აღიარა. ისინი ცხინვალს და სოხუმს დღემდე საქართველოს ნაწილად თვლიან.

– თუმცა ეს მათ ხელს არ უშლის იმაში, რომ ცხინვალის და აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

– შეხვედრას ვერავის დავუშლი, თან ეს შეხვედრაა და არა მათი დამოუკიდებლობის აღიარება.

ჩვენს პატრიარქს კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ მას ფაქტიურად ამის უფლება არ მისცეს. ის თავს შებოჭილად გრძნობს იმ კამპანიის გამო, რომელიც რუსეთთან მოლაპარაკებების გარშემოა ატეხილი.

ეს საყოველთაო ისტერია რომ არა, ილია II კიდევ რამდენჯერმე ჩავიდოდა მოსკოვში, შეხვდებოდა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს და შედეგიც დაიდებოდა.

ამ შეხვედრების შედეგად უნდა

ნიკოლოზ მჟავანაძე: „თავისუფალი დემოკრატები პატრიარქის წინააღმდეგ გამოდიან“

ყველაზე მეტად ამ შეხვედრაზე დავით უსუფაშვილის გამოჩენა გამიკვირდა. ამ ადამიანს ჯერ პარტიის შექმნა დასრულებული არა აქვს, რომ პენსთან შეხვედრაზე მიიწვიეს. ეს შემთხვევით არ მომხდარა. უკვე მიდის საუბარი იმაზე, რომ „ოცნება“ უსუფაშვილის პარტიამ უნდა ჩაანაცვლოს. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამაზე სერიოზული მუშაობა მიდის.

კარგად გამიგეთ, თავის დროზე ისრაელი და ეგვიპტე სინას მთის გამო სასიკვდილოდ იყვნენ გადაკიდებული. ამის მიუხედავად, მოლაპარაკებები შეძლეს და მოლაპარაკებით გადაწყვიტეს ეს პრობლემა – ისრაელმა სინას მთა დათმო. აგერ ამერიკამ ატომური ბომბი ესროლა იაპონიას და დღეს ისინი ერთმანეთის პარტნიორები არიან.

მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ ამას ფსევდო-ლიბერალური ძალები ეწინააღმდეგებიან. ამ ისტერიული კამპანიის წარმოებისთვის ისინი სოლიდურ დაფინანსებასაც ღებულობენ.

– ვისგან ღებულობენ დაფინანსებას?

– რატომღაც ითვლება, რომ დაფინანსება ამერიკიდან მოდის. მხედველობაში

აშშ-ის ხელისუფლება მყავს, თორემ შესაძლოა ეს ფსევდო-ლიბერალური სექტები ამერიკაში იყოს. ეს სექტები მთელს მსოფლიოს არიან მოდებული და ცდილობენ, ყველა თავიანთ ჭკუაზე ატარონ.

ჩვენ რა გვიკვირს ხალხო, ამერიკის პრეზიდენტს შეაცვლევინეს ამ სექტანტებმა კურსი. კაცი მზად იყო მოსკოვთან ურთიერთობები დაერეგულირებინა. ყველაფერი პირიქით მოხდა – აშშ და რუსეთი კიდევ უფრო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ფსევდო-ლიბერალებმა მოახერხეს და აშშ-ის პრეზიდენტს გეგმები ჩაუშალეს. პატარა საქართველომ ამათთან რა უნდა გაახერხოს. ხელისუფლებაც ამიტომ ვერ აწარმოებს მოლაპარაკებებს.

– იქნება არც უნდა საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან მოლაპარაკებები?

– როგორ არ უნდა. ბიძინა ივანიშვილი პრემიერი რომ იყო, სულ იმას ამბობდა, რუსეთთან უნდა დავილაპარაკოთო. ამ ლიბერასტების ჭკუაზე რომ დავდივართ, მაგიტომაც მიდის ჩვენი საქმე უკან.

მაინტერესებს, როგორ აპირებენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას – ოკუპაციის ხაზთან 20-კაციანი მარშები უნდა ჩავატაროთ და რუსებს კაი მაგრად უნდა შევაგინოთ? ან იქნებ რაიმე კლიპის გადაღება უშველის საქმეს.

დაკარგულ ტერიტორიებზე საუბარი რომ დასაწყებია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. რაც მეტად დავაგვიანებთ მოლაპარაკებას, მით მეტად დავშორდებით აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. მეტსაც გეტყვით, გონივრულ ნაბიჯებს თუ არ გადავდგამთ, შესაძლოა, სხვა ტერიტორიებსაც დავშორდეთ. გვინდა თუ არ გვინდა, რუსეთი რეგიონში სიტუაციის წარმმართველია.

– ეგ იმიტომ, რომ რუსეთს ჩვენისთანა პატარა ქვეყნებთან აქვს საქმე.

– თურქეთია პატარა ქვეყანა? მაგათი პრეზიდენტი ერდოღანი შარშან ლამის ომს იწყებდა რუსეთთან, ახლა პუტინზე ლოცულობს და მისი ხათრით ლამისაა ქრისტიანობა მიიღოს.

შალვა შავგულიძის საკანონმდებლო ინიციატივა ადრე რომ მიეღოთ, ერეკლე მეორე, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე დასაჭერები იქნებოდნენ – ისინი მტერთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. დავით აღმაშენებელიც მოხვდებოდა ციხეში, ის 10 წელი თურქ-სელჩუკებს ხარკს უხდიდა.

თავისუფალ დემოკრატებს დიდი რეიტინგი ისედაც არა აქვთ, მაგრამ ისე ნუ იზამენ, რომ მთლად თეთრი ხმაურის და „გირჩის“ დონეზე დავიდნენ.

– იქნება მათი საკანონმდებლო ინიციატივა რუსი დეპუტატების მოხშირებულ ვიზიტებს უკავშირდება.

– არც ესაა გამართლება. მისვლა-მოსვლის გარეშე დიალოგი არ შედგება. დიალოგის გარეშე კი, დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ. ხშირად მომისმენია, რაზე უნდა ვივაჭროთ რუსეთთანო. პოლიტიკა რომ ვაჭრობაა, ეს, დავიჯერო, არ იციან? ყოველთვის ასე იყო, რომ გამარჯვებული ის რჩებოდა, ვინც პოლიტიკით კარგად ვაჭრობდა. რაღაცა უნდა დათმო, რომ სანაცვლოდ რაღაცა მიიღო.

– რუსეთს ამაზე მეტი რაღა უნდა დავუთმოთ, აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა და მათ მიერთებას აპირებს.

– რუსეთს აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიერთება არ უნდა. ეს რომ სდომოდა, ამას აქამდე არაერთხელ გააკეთებდა. აფხაზეთში შექმნილი ვითარება ძალიან საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

აფხაზეთში საკმაოდ ცუდი ვითარებაა კრიმინალური თვალსაზრისით. რუსები იქ შეგნებულად არ ამყარებენ წესრიგს. აფხაზურ მედიას ხშირად ვკითხულობ, იქაურების განწყობა სერიოზულად არის შეცვლილი. ისინი უიმედოდ არიან განწყობილები. ცხინვალელი ოსებისგან განსხვავებით, აფხაზები ნამდვილად ფიქრობდნენ დამოუკიდებლობაზე. ეგონათ, რომ ჩვენგან თუ წავიდოდნენ, დამოუკიდებელ ქვეყანას ააშენებდნენ.

ახლა აფხაზები ამბობენ, რომ რეალური დამოუკიდებლობა ვერ მიიღეს, კრიმინალი ვერ დაამარცხეს, ცხოვრების დონე ისევ დაბალია, რუსეთის გარდა, სხვა ქვეყნებში ვერ მიდიან. აფხაზები ამ ზომამდე რუსებმა მიიყვანეს.

– რატომ, რუსეთის შემადგენლობაში შესვლა რომ მოითხოვონ?

– რუსეთს ეს რომ სდომებოდა, ამას დიდი ხნის წინ მათი ნების გარეშეც გააკეთებდა.

– აბა რისთვის აკეთებენ, რომ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდნენ?

– ფაქტია, რომ აფხაზები უკვე სხვანაირად აფასებენ რეალობას. ახლა ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ. მართალია რუსეთთან მოლაპარაკებების მომხრე ვარ, მაგრამ იმ ხალხისაც მესმის, ვინც ამას ეწინააღმდეგება. თუმცა მაინტერესებს, ამ ხალხს რატომ არ გაუჩნდა კითხვები იმასთან დაკავშირებით, რა პრინციპით შეხვდა საქართველოში ჩამოსული აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ოპოზიციურ პარტიებს.

მაინტერესებს, მარტო 4 პარტიას რომ შეხვდა და მარტო ესენი აღიარა ოპოზიციად, ეს მოეწონათ? არ შეიძლებოდა პენსი სხვა პარტიებსაც, მაგალითად, პატრიოტთა ალიანსს და ბურჯანაძის პარტიას შეხვედროდა?!

ხელისუფლების გადაბარების გაცილებით მეტი შანსი აქვს ნაცებს. აქ ხომ ყველაფერს ამერიკა წყვეტს და ამერიკა მხოლოდ ნაცებს და „ოცნებას“ აღიარებს. „ოცნება“ უკვე ორჯერ იყო ხელისუფლებაში და ახლა ნაცებს დააბრუნებენ.

– ალბათ შეიძლებოდა, მაგრამ ამ პარტიებს ხაზგასმულად რუსეთი მოსწონთ და პენსთან რა უნდოდათ?

– რუსეთი კი არ მოსწონთ, მასთან მოლაპარაკებებს ითხოვენ. მოსკოვთან მოლაპარაკებებისკენ აშშ-ც მოგვიწოდებს.

– არ უნდა ამ რუსეთს მოლაპარაკება და ძალით ხომ არ შევეტენებით?

– ვის არ უნდა მოლაპარაკება? პუტინმა რამდენჯერმე გამოთქვა მზადყოფნა. თან მოსკოვის რიტორიკაც შეცვლილია.

– რა ეტყობა, რომ შეცვლილია?

– აქამდე გვეუბნებოდნენ, რომ რეალობას ანუ აფხაზეთის და ცხინვალის აღიარებას უნდა შეეგუოთო, ახლა ამბობენ, ამაზე ქართველებმა, ოსებმა და აფხაზებმა უნდა დაილაპარაკოთო. დიალოგის დაწყებისკენ აშშ და ევროპაც მოგვიწოდებს და იქნებ მათ მაინც დაუჯერონ.

ისევ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის და ოპოზიციური პარტიების შეხვედრას დავუბრუნდები. ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი სიგნალია ყველასთვის. ამ შეხვედრიდანაც ჩანს, რომ ამერიკა საქართველოში მხოლოდ „ოცნებას“ და ნაცებს ცნობს. პენსს ნაცები და „ოცნებიდან“ წამოსულები შეხვდნენ.

– იმ შეხვედრას „ევროპული საქართველოც“ ესწრებოდა?

– ეგენი ნაცები არ არიან? მაგათ გინდა ევროპული საქართველო დაირქვან, გინდა აზიური, მაინც სისხლიანი რეჟიმის წევრებად დარჩებიან.

ყველაზე მეტად ამ შეხვედრაზე დავით უსუფაშვილის გამოჩენა გამიკვირდა. ამ ადამიანს ჯერ პარტიის შექმნა დასრულებული არა აქვს, რომ პენსთან შეხვედრაზე მიიწვიეს.

ეს შემთხვევით არ მომხდარა. უკვე მიდის საუბარი იმაზე, რომ „ოცნება“ უსუფაშვილის პარტიამ უნდა ჩაანაცვლოს. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამაზე სერიოზული მუშაობა მიდის.

– ვინ მუშაობს ამაზე?

– საკმაოდ სერიოზული ხალხია და საკმაოდ სერიოზული ფული იხარჯება. მინდა ვუთხრა ამ ადამიანებს, რომ ტყუილად ხარჯავენ ფულსა და ენერგიას. უსუფაშვილს ხალხი არ აირჩევს.

– რატომ არ აირჩევენ?

– უსუფაშვილი არ არის ეროვნულად მოაზროვნე ადამიანი. ის ყოველთვის არაპოპულარულ განცხადებებს აკეთებდა და, რაც მთავარია, დავით უსუფაშვილი არასდროს არ იქნება ლიდერი.

ხელისუფლების გადაბარების გაცილებით მეტი შანსი აქვს ნაცებს. აქ ხომ ყველაფერს ამერიკა წყვეტს და ამერიკა მხოლოდ ნაცებს და „ოცნებას“ აღიარებს. „ოცნება“ უკვე ორჯერ იყო ხელისუფლებაში და ახლა ნაცებს დააბრუნებენ.

გამოდის, რომ ნაცებს გვახვევენ ისევ თავზე, ესაა ამერიკული დემოკრატია და დახმარება? ან ის ტანკები რომ ჩამოატარეს მთელი ამბით და ხალხი გახარებული იყო გვეხმარებიანო. დახმარება ის იქნებოდა, ეს ტანკები ჩვენთვის ეჩუქებინათ. ზოგს იმისიც სჯერა, რომ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ, რუსეთი უკან დაიხევს. საქართველოში აშშ-ის პრეზიდენტი ბუში იყო ჩამოსული და ამ ვიზიტიდან 3 წელში აგვისტოს ომი იყო.

„აფხაზები უკვე ხვდებიან, რომ ოკუპირებულები არიან“



გია გვაზავა: „პუტინმა აფხაზებს ძალა აჩვენა“

გულიკო ბალაძე

როგორი განწყობით შეხვდა აფხაზური საზოგადოება პუტინის ჩასვლას?

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ სოხუმში ჩასვლით პუტინმა ძალის დემონსტრირება მოახდინა.

– ჩვენ ომს არც ვაპირებთ და არც გვინდა. სამოქალაქო ომი იქნება. შიდა დაპირისპირებას ვერიდებით. რუსეთის მიმართ შეუვალი უნდა ვიყოთ. ვთხოვოთ საერთაშორისო საზოგადოებას, რუსეთს საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის მოთხოვნები შეასრულებინოს. აფხაზეთში საზოგადოება გაყოფილია. ბევრს პუტინის ვიზიტი არ უხარია, რადგან თვითონაც ოკუპრებულები არიან. ამას გრძნობენ კიდეც, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ გია გვაზავამ.

– ბატონო გია, პუტინის სოხუმში ჩასვლას და იქ მის შეხვედრებს როგორ აფასებთ? პარტნიორული დამოკიდებულების თუ ნამდვილი ოკუპანტის ვიზიტი იყო?

– პუტინის მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალის დემონსტრირებას იმის საჩვენებლად, თუ შენ ამერიკასთან მეგობრობ, ჩვენ – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან. პუტინის სოხუმში ჩასვლა იყო კიდევ ერთხელ იმის ჩვენება, რომ რუსეთი პოზიციას არ იცვლის. თუ კიდევ ვინმეს ჰგონია, რუსეთმა შეიძლება პოზიცია შეიცვალოს, ფუჭი მოლოდინია. ისინი თავისი გეგმით მოქმედებენ. ეს არის ოკუპაციის პირდაპირი გამომჟღავნება.

– ხაჯიმბას დიდი სიხარული ვერ შევამჩნიე, მიუხედავად იმისა, ცნობილია, რომ ის პრორუსული განწყობისაა და კგბ-ს თანამშრომელია.

– ამ ვიზიტმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ აქ მთავარია რუსული იმპერიული გეგმები. ეს იყო გაფრთხილება, კარგად მოიქეცით, თორემ უარესი მოგივათ. ამით პუტინმა კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ძალა.

– პუტინს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ პენსის საქართველოში ვიზიტის თანაფარდი ვიზიტი ჰქონდა?

– როგორ შეიძლება პუტინის აფხაზეთში ჩასვლა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ პენსის საქართველოში ვიზიტის თანაფარდი იყოს? მე რომ მკითხოთ, პუტინის სოხუმში ჩასვლა, რუსული იმპერიული ზრახვების კიდევ ერთი გამომჟღავნებაა – შეგაშინებთ იმით, რომ აფხაზეთს დავიმორჩილებ.

– 2008 წლის ომის დროს სად იმყოფებოდით?

– 2008 წლის ომის დროს გორში ვიმყოფებოდი და თავიდან ბოლომდე შევესწარი რუსულ ოკუპაციას, რუსების შემოსვლას და იმ პროცესებს, რომელიც იქ მიმდინარეობდა. გორში ვიყავი მეუფე ანდრიასთან, ჩემ ძმასთან ერთად.

– ზოგადად, მესმის, რა არის იმპერიული ზრახვები, ომის საშინელება. თქვენთვის მაინც რა იყო ყველაზე მიუღებელი ამ ომის დროს?

– ომი, საერთოდ, მიუღებელია, ყველანაირად. ვითომ ქრისტიანული ქვეყანაა და აგრესიას აწარმოებს პატარა ქვეყნის მიმართ, არ აძლევს თავისი უფლებების განხორციელების უფლებას.

სანამ ფართომასშტაბიანი ომი დაიწყებოდა, პროვოკაციები იყო, ადამიანებს თავს ესხმოდნენ, კლავდნენ, მაგრამ თითქოს წესრიგი დაამყარა. ასე მანამდე ჩეჩნებში „დაამყარა წესრიგი“ და ჩეჩნების ნახევარი ამოხოცა. ეს თითქოს არაფერი.

– თუ შეიძლებოდა საქართველო ასეთ ფართომასშტაბიან ომში არ აღმოჩენილიყო?

– რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. ომისგან თავის არიდება აუცილებლობა იყო. ამის თაობაზე გვაფრთხილებდნენ. რუსული ჯარი საზღვართან იყო მომდგარი, რაც ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა. პროვოკაცია, რა თქმა უნდა, მოწყობილი იყო რუსეთის მიერ. მათ ჩვენები პროვოკაციაში რატომღაც ძალიან მარტივად ჩაითრიეს.

– პროცესი რას გიჩვენებთ? როგორ ფიქრობთ, მომავალში რა იქნება? ოკუპაცია ხომ მუდმივად არ გრძელდება?

– რა თქმა უნდა. ვნახოთ, ამას დრო გვიჩვენებს. ის ადამიანები, ვინც საქართველოს მიმართ აგრესია განახორციელა, ჯერ კიდევ რუსეთის ხელისუფლების სათავეში არიან. სანამ რუსეთი პუტინისა და ფოიგუს იქნება, არა მგონია, რაიმე შეიცვალოს.

– მე ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ასეთ აზრს. ვიცით, რომ რუსეთი არასოდეს იხევდა უკან, თავისი იმპერიული ზრახვებისაგან უკან.

– რასაკვირველია.

– თუ ძალით არ დაახევინებდნენ. თუ პუტინი არ იქნება, სხვა იქნება.

– ყოველ შემთხვევაში, სანამ ეს ადამიანები იქნებიან რუსეთის სათავეში, არა მგონია ვითარება შეიცვალოს. ვნახოთ, შემდეგ როგორ განვითარდება მოვლენები და საერთაშორისო საზოგადოება რა ზეწოლის მექანიზმებს მოიგონებს კიდევ რუსული იმპერიული ზრახვების შესაჩერებლად.

– პირველი ეტაპი სანქციებისა, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებამ დაუწესა, რუსეთმა ძალიან რბილად გადაიტანა, პირიქით, ახლო აღმოსავლეთში გაჩერებულ ომში ქვეყანა ძალიან წარმატებით ჩაერთო. მეორე ეტაპის სანქციებზე ამბობენ, რომ ეს არის ეკონომიკური და საინფორმაციო ომის გამოცხადება. როგორ ფიქრობთ, ახალი სანქციები რუსეთს სერიოზულად დააზარალებს?

– რა თქმა უნდა, ამერიკისა და საერთოდ, საერთაშორისო საზოგადოების მიერ დაწესებული ახალი სანქციები რუსეთს სერიოზულად დააზარალებს. ამჯერად, რა სანქციებსაც დაჰპირდნენ, სრულად შეუსრულებენ, რადგან წინა სანქციები არ გახლდათ მკაცრი, ეკონომიკური ბერკეტები ძირითადად რუსეთის ხელში იყო. თუ ახლა უფრო მკაცრ სანქციებს დაუწესებენ რუსეთს და საერთაშორისო საზოგადოებაც მოითხოვს მის შესრულებას, შედეგიც შესაბამისი იქნება.

– ცოტა ხნის წინ, ფეისბუქზე გამოქვეყნდა რუკების კომბინაცია, რომელიც გვიჩვენებდა საუკუნეების, წლების მიხედვით, როგორ იცვლებოდა საქართველოს ტერიტორიის ფართობი. საქართველო ხან ტერიტორიებშეკვეცილი იყო, ხან – მთლიანად დაპყრობილი იმპერიების მიერ, ხან – დამოუკიდებელი და დიდი. ბოლო პერიოდის ცვლილებებიცაა ასახული.

– დიახ, ვნახე ეს რუკები, სადაც ჩანს, როგორ მცირდება და დიდდება საქართველო.

– თუ ამ რუკებს და ისტორიას გადავხედავთ, დეოკუპაციის იმედი შეიძლება გვქონდეს?

– საქართველო, საუბედუროდ, ბოლო საუკუნეებში შეეჩვია მიწების დაკარგვას. საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი, რომ მიწების ჩამორთმევა შეიძლება, ვერც ერთი რეგიონი ვერ დაბრუნდება. მე ვლაპარაკობ თუნდაც 1921 წელზე, როდესაც ჩვენი მიწები წაიღო რუსეთმა, სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

– და თურქეთმა.

– თურქეთს მანამდე ჰქონდა წართმეული და მოლაპარაკებები იყო. ამას რატომღაც ყურადღებას არ ვაქცევთ, ნარკომანიის პრობლემები უფრო წინ დგას, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა.

– თუმცა, ჯანმრთელი თაობა თუ არ იქნება, ვერც დეოკუპაციაზე იფიქრებს და ვერც ტერიტორიების დაბრუნებაზე.

– რა თქმა უნდა, ეს აქსიომაა. მოვუწოდებ საქართველოს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად პარტიული წარმომადგენლობისა, ერთიანობაზე ვიფიქროთ. მხოლოდ ერთიანობა გადაარჩენს საქართველოს. გეგმაზომიერად, მშვიდად, ემოციების გარეშე, მიზანმიმართულად და მკაცრადაც კი განვახორციელოთ ის, რაც სჭირდება საქართველოს, მის მთლიანობას. საერთაშორისო წარმომადგენლობებთან შეხვედრებზე და დოკუმენტებში საქართველო უნდა იყოს მოხსენიებული, როგორც დღეს უკრაინას ახსენებენ.

– ეს არის ერთ-ერთი მთავარი ზომა რუსული ოკუპაციისა და იმპერიული ზრახვების წინააღმდეგ საბრძოლველად?

– დიახ. აბა, ჩვენ ახლა ომს ვერ დავიწყებთ. ომს არც ვაპირებთ და არც გვინდა. ძალიან კარგად გვესმის, რომ სამოქალაქო ომი იქნება. ჩვენ ვერიდებით შიდა დაპირისპირებას. რუსეთთან დაკავშირებით კი შეუვალი უნდა ვიყოთ. ვთხოვოთ საერთაშორისო საზოგადოებას, რომ რუსეთს დეოკუპაციის მოთხოვნები შეასრულებინოს.

– ინფორმაცია გაქვთ, როგორი განწყობით შეხვდა აფხაზური საზოგადოება პუტინის ჩასვლას?

– აფხაზეთში საზოგადოება გაყოფილია. ბევრს პუტინის ვიზიტი არ უხარია, რადგან თვითონაც ოკუპირებულები არიან.

„ოცნება“ მერობის კანდიდატების წარდგენას აგვისტოს ბოლოს დაიწყებს

შორენა მარსაგიშვილი

თვითმმართველობის არჩევნებისთვის ქართული პოლიტიკური სპექტრი აშკარად უხალისოდ ემზადება. მერობის კანდიდატები რამდენიმე პარტიას ჰყავს დასახელებული და ისიც მხოლოდ თბილისში.

თბილისის მერობის კანდიდატების დასახელებას სხვა პარტიებიც აპირებენ. უბრალოდ, მათ ჯერ ვერ გაურკვევიათ, კანდიდატურები სხვა პარტიებთან ერთად დაასახელონ თუ მარტოებმა იბრძოლონ.

მერობის კანდიდატების დასახელების პროცესი რეგიონებში არ დაწყებულა. წლევანდელ არჩევნებზე ნამეტანი ბევრი მერი გვეყოლება ასარჩევი. მუნიციპალიტეტებში ამჯერად გამგებლების ნაცვლად მერებს აირჩევენ.

ყველაზე მეტი ინტერესი, როგორც წესი, „ქართული ოცნების“ კანდიდატების მიმართ არის. „ოცნება“ კი არ ჩქარობს.

მათგან პასუხს თვის ბოლოს მივიღებთ. „ქართული ოცნება“ მერობის კანდიდატების დასახელებას და მუნიციპალიტეტებში მათ წარდგენას აგვისტოს ბოლოდან გეგმავს.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, მმართველ პარტიაში ცალკეულ კანდიდატებთან დაკავშირებით შიდა კონსულტაციები ჯერ ისევ გრძელდება, მათი დასახლება კი აგვისტოს მეორე ნახევრიდან დაიწყება.

არანაკლებ საინტერესოა საკრებულოების შემადგენლობაც. ყველაზე დიდი ინტერესი აქაც „ოცნების“ მიმართ არის.

გავრცელებული ინფორმაციით, მეოცნებეთა სიით შემადგენლობაში შესაძლოა პარლამენტს მიღმა დარჩენილი მეოცნებეებიც ვიხილოთ. სიაში ტრადიციულად რამდენიმე სელებრითიც ეყოლებათ.

როგორც „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, თბილისის საკრებულოში შესაძლოა რამდენიმე ვეტერანი ფეხბურთელი ვიხილოთ. მობურთავეებს „ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე ლობირებს.

„ოცნებაში“ უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ სიაში ჩასასმელი ხალხის შერჩევა კალაძემ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში დაიწყო. მაშინ მისი მერობის კანდიდატად დასახელება ძალიან ვიწრო წრეში განიხილებოდა.

მმართველ გუნდში არც იმას უარყოფენ, რომ კალაძე ხშირად დადიოდა საკრებულოში და „ოცნების“ დეპუტაციას ებაასებოდა.

ამ ბაასიდან მან ალბათ გამოიტანა დასკვნა, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს მისი გუნდის წევრად. გავრცელებული ინფორმაციით, ძველი შემადგენლობიდან სიაში მხოლოდ 3-4 ადამიანი მოხვდება. ამ მხრივ ყველაზე შანსიანები ჯაბა ჯიშკარიანი, მურთაზ შელია და გია ალიბეგაშვილი არიან.

ეს უკანასკნელი საკრებულოს თავმჯდომარეა და შესაძლოა ისევ თავმჯდომარედ ვიხილოთ. „ოცნება“ ჯერ არ აკონკრეტებს, ვისზე გააკეთებს აქცენტს.

საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატის ვინაობა ჯერ მხოლოდ ნაციონალებმა გაამხილეს. ის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია იქნება.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ თურქეთის მოქალაქეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და თურქეთის მოქალაქე ს.შ. განზრახ მკვლელობის მცდელობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა–შენახვა დამნაშავედ ცნო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებების შედეგად უტყუარად დადასტურდა, რომ 2016 წლის 3 დეკემბერს, დაახლოებით 23:00 საათზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, თურქეთის მოქალაქემ ს.შ.-მ უკანონოდ შეძენილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ასევე თურქეთის მოქალაქე მ.გ.-ს მუცლის არეში სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად დაზარალებულის გადარჩენა მოხერხდა. ბრალდებული ს.შ. სამართალდამცველებმა 2016 წლის 12 დეკემბერს ბათუმში დააკავეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ს.შ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

რეცეპტის გარეშე მედიკამენტების რეალიზებაში 2 მეწარმე სუბიექტი ამხილეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში 2 მეწარმე სუბიექტი იქნა მხილებული.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული მეწარმეები, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, კახეთის რეგიონში, კერძოდ თელავსა და ლაგოდეხში მდებარე მათი კუთვნილი აფთიაქებიდან, სანებართვო და სალიცენზიო პირობების დარღვევითა და შესაბამისი რეცეპტის გარეშე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული დიდი ოდენობით მედიკამენტები.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 1-დან 3 წლამდე.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საქართველოს მასშტაბით გამოავლინეს ათზე მეტი ობიექტი, სადაც სანებართვო და სალიცენზიო პირობების დარღვევით ფსიქოტროპული მედიკამენტების რეალიზაცია ხდებოდა.

ლურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეალიზაციას ახორციელებდნენ.

შედეგად, ყოველგვარი რეგულაციისა და სანებართვო პირობების უხეში დარღვევით, სამოქალაქო ბრუნვაში მოექცა ფსიქოტროპული და სპეციალ-

უშველის თუ არა ხაჯიმბას და ოკუპირებული რეგიონის ეკონომიკას პუტინის მხარდაჭერა

პუტინის ჩასვლა აფხაზეთში ნატომაც გააპროტესტა

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთში ჩასულმა რუსეთის პრეზიდენტმა ტურისტების უსაფრთხოება ახსენა და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრი ხელს შეუწყობს მათ დაცვას.

რუსეთის ტურისტებს ოკუპირებულ აფხაზეთში ამ ზაფხულს ბევრი რამ გადახდათ, შეიარაღებული თავდასხმებით დაწყებული, მსუბუქი თვითმფრინავების მსხვრევითა და სამხედრო საწყობების აფეთქებით დამთავრებული, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

თუმცა, რუსი ტურისტები და მათი დაცვა არ ყოფილა პუტინის აფხაზეთში მორიგი ჩასვლის მთავარი მიზეზი.

პუტინის გზავნილების თანახმად, რუსეთი არ ცვლის თავის პოლიტიკას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონების მიმართ.

ეს ხდება იმ ფონზე, როცა საქართველოს ტერიტორიული პრობლემები საერთაშორისო დონეზე აქტუალური გახდა. ამის საფუძველი შექმნა აშშ-ის კონგრესისა და პრეზიდენტის ერთობლივმა მხარდაჭერამ საქართველოს მიმართ და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტმა საქართველოში.

ქართველი ექსპერტები და პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ იქმნება პირობები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ხდება ასევე უკრაინისა და მოლდოვას საკითხების აქტუალიზება.

რუსეთის პრეზიდენტი ოკუპირებულ აფხაზეთში ჩადის ამ ფონზე, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტისა და ახალი ანტირუსული სანქციების მიღების შემდეგ. ეს ნაბიჯი ნატოშიც დაგმეს.

– პრეზიდენტ პუტინის ჩასვლა საქართველოს რეგიონში – აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის მორიგ წლისთავზე ხელს უშლის მის მშვიდობიან მოგვარებას. ვწუხვართ, რომ ვიზიტი გაიმართა საქართველოსთან შეუთანხმებლად, – აღნიშნავს ნატოს წარმომადგენელი დილან უაიტი.

პუტინმა ამ ნაბიჯით მორიგი მხარდაჭერა გამოუცხადა დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას.

ხაჯიმბას რეიტინგი საგრძნობლად შერყეულია. საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი რესპუბლიკას ვერ მართავს. ამას ადასტურებს გაზრდილი კრიმინალი, ხალხის დიდი მასის გაღატაკება, პოლიტიკური არასტაბილურობა და რუსეთის საწინააღმდეგო განწყობა.

პუტინის განცხადებით, რუსეთი 2019 წლამდე მოახდენს 6 მილიარდი რუბლის ინვესტირებას აფხაზეთის ეკონომიკაში. იგი საოკუპაციო რეჟიმს დაჰპირდა, რომ კრემლი საიმედოდ უზრუნველყოფს აფხაზეთის უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობას.

2015-2016 წლებში აფხაზეთმა რუსეთიდან მიიღო 3 მილიარდი რუბლი. რუსული ფული აფხაზეთის მოსახლეობის მდგომარეობაზე არ ასახულა. ყველა აღიარებს, რომ ცხოვრების დონე ამ ოკუპირებულ რეგიონში გაუარესდა.

წელს კიდევ უფრო შემცირდა შემოსავლები ტურიზმის სფეროდან. პუტინის გამოჩენა დამსვენებლების მოზღვავებას ვერ გამოიწვევს და ვერ მოაგვარებს პოლიტიკურ პრობლემებს აფხაზეთში.

ხაჯიმბას მოწინააღმდეგეების რიცხვი იზრდება. მას არ ჰყავს მყარი უმრავლესობა პარლამენტში.

რუსეთს ვაშინგტონმა სანქციები ძირითადად იმ პოლიტიკის გამო გაუმკაცრა, რომელსაც იგი ატარებს უკრაინასა და საქართველოში. სანქციების მოხსნის პირობად სახელდება ამ პოლიტიკის შეცვლა.

რუსეთი ამ მიმართულებით მიდგომებს არ ცვლის, თუმცა იცვლება ვითარება მსოფლიოში.

კობა გვენეტაძე: „საქართველოს რეგიონის ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბების პერსპექტივა აქვს“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ საქართველოს საფონდო ბირჟაზე მიმდინარე პროცესებზე, არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო პერსპექტივებზე „ბანკები და ფინანსებთან“ ისაუბრა.

– რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს ქართული საფონდო ბირჟა?

– ბირჟის და, ზოგადად, საფონდო ბაზრის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ლიკვიდურობის დაბალი დონე, ვაჭრობის მცირე მოცულობები, ინვესტორთა სიმცირე, ფინანსური ინსტრუმენტების ნაკლებობა და ფინანსური განათლების დაბალი დონე. ასევე, მნიშვნელოვანია არასათანადო ინფრასტრუქტურა. საფონდო ბირჟა, რომელიც ათეული წლის განმავლობაში ერთადერთ სავაჭრო პლატფორმას წარმოადგენდა ქვეყანაში, შეიქმნა ე.წ. პრივატიზაციის პროცესის დასრულებისას. მისი ინფრასტრუქტურა, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და ორგანიზაციაში დასაქმებული კადრების პროფესიული მომზადება განხორციელდა USAID პროექტის ფარგლებში, თუმცა, წლების განმავლობაში მოძველდა, არ განვითარდა და მნიშვნელოვნად ჩამორჩა საერთაშორისო ტენდენციებსა და სტანდარტებს. სამწუხაროდ, მაშინდელმა ბირჟამ ვერ შეძლო აღნიშნული პლატფორმით ინვესტორების სათანადოდ დაინტერესება და მას შემდეგ, რაც კანონით ბირჟაზე ვაჭრობა ნებაყოფლობითი გახდა (2007 წლამდე ფასიანი ქაღალდებით გარიგება შესაძლებელი იყო მხოლოდ საფონდო ბირჟაზე, ხოლო საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შესაძლებელი გახდა არასაბირჟო – OTC ვაჭრობაც.), საწარმოთა უმრავლესობამ ბირჟის გარეთ ვაჭრობა არჩია.

– არსებობს მოსაზრება, რომ საბანკო სექტორი დომინირებს ქართულ საფონდო ბირჟაზე და ნეგატიურად იყენებს საკუთარ ძალაუფლებას (58%). ეთანხმებით თუ არა ზემოხსენებულ მოსაზრებას და უშლის თუ არა ხელს აღნიშნული ფაქტორი ფინანსური ბაზრის განვითარებას საქართველოში?

– შეფასებისას მნიშვნელოვანია, რომ დავეყრდნოთ რეალურ, ობიექტურ ფაქტებსა და მონაცემებს. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების შვილობილი კომპანიების ფლობაში ბირჟის დაახლოებით 37%-ია, რაც გამორიცხავს კომპანიაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ისე მიღებას, რომ მასში ბირჟის სხვა აქციონერები არ მონაწილეობდნენ.

გარდა ამისა, საფონდო ბირჟის აქციონერები (მათ შორის ბანკები) ეროვნულ ბანკთან ერთად ახორციელებენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში. უსაფრთხო, სწრაფი და ეფექტური ანგარიშსწორების სისტემა კაპიტალის ბაზრების განვითარების აუცილებელი პირობაა. აღნიშნული რეფორმა ბაზრის ყველა მონაწილეს ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების ანგარიშსწორების ადვილად და რისკების გარეშე განხორციელების საშუალებას მისცემს. მაგალითად, ფასიანი ქაღალდებით (განსაკუთრებით ობლიგაციების შემთხვევაში) შესაძლებელია 10-20 მილიონის გარიგება მოხდეს, რისი მოსალოდნელი შედეგიც რამდენიმე ასეული ლარის მოგება იყოს. დამეთანხმებით, რომ თუ ამ შემთხვევაში ანგარიშსწორების რაიმე რისკები არსებობს, რამდენიმე ასეული ლარის გამო რამდენიმე მილიონს არავინ გარისკავს. სწორედ ამიტომ, ბირჟაზე ვაჭრობა შეუძლებელია თანამედროვე უსაფრთხო სისტემების გარეშე. ამიტომაც არის, რომ ეროვნული ბანკმა, ბირჟასთან თანამშრომლობით, დაიწყო ანგარიშსწორების სისტემის განახლება ისე, რომ მან კერძო ფასიანი ქაღალდებიც მოიცვას. ამ კუთხით ეროვნული ბანკი მონაწილეობს მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც სახელმწიფოს ვალდებულებებია, ხოლო კერძო სექტორის ნაწილის ინვესტიციას კი კერძო დეპოზიტარი ახორციელებს, რომელიც ბირჟის მფლობელობაშია. მომავალში, ასევე, დაგეგმილია თანამედროვე სავაჭრო სისტემის დანერგვა. მთლიანობაში, კერძო სექტორის ინვესტიციები ბირჟის განვითარებაში 2 მილიონ ლარზე მეტია, ამიტომ, იმის მტკიცება, რომ ბანკების მხრიდან არ არის კაპიტალის ბაზრის განვითარების დაინტერესება, საფუძველს მოკლებულია. ჩვენი მოლოდინია, რომ ბაზრის განვითარების პარალელურად, კერძო სექტორის ჩართულობა და აქტივობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. უნდა აღინიშნოს, რომ ბირჟის აქციონერებს შორის არსებული რამდენიმე სასამართლო დავა, რომელთა ნაწილი უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, ხელს უშლის ბირჟის ნორმალურ ფუნქციონირებას, რადგანაც ბირჟის ისედაც მწირი რესურსების და დროის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ დავებში მონაწილეობაში იხარჯება.

– სტატისტიკის მიხედვით 2007 წლამდე საფონდო ბირჟაზე გარიგებების სწრაფი ზრდის ტემპი აღინიშნებოდა, ხოლო იგივე წლის შემდეგ ბირჟის აქტივობები სწრაფადვე შემცირდა. რამ განაპირობა ასეთი ცვალებადობა?

– აღნიშნული განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ 2007 წლამდე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა აკრძალული იყო არასაბირჟო (OTC) სეგმენტზე, რაც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას ეწინააღმდეგება. აქციონერები იძულებულნი იყვნენ, ყველა გარიგება მხოლოდ ბირჟის პლატფორმაზე განეხორციელებინათ და მაღალი საკომისიო გადაეხადათ, მიუხედავად იმისა, სჭირდებოდათ თუ არა ბირჟის მომსახურება. ეს კი მოჩვენებითად ზრდიდა აქტივობას და ქმნიდა შთაბეჭდილებას, თითქოს ბაზარი დაინტერესებული იყო ბირჟის მიერ შეთავაზებული სერვისების გამოყენებით. კანონმდებლობის ცვლილების შემდეგ თვალსაჩინო გახდა პლატფორმის მოუქნელობა და ინვესტორების მხრიდან მის მიმართ არსებული ინტერესის გამომხატველი რეალური სურათი გამოჩნდა.

გარდა ამისა, არასწორია შეფასება, თითქოს 2007 წლის შემდეგ ბირჟაზე აქტივობა შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, ბაზრის მონაწილეების უზრუნველყოფით და, მათ შორის, მათთან სებ-ის აქტიური თანამშრომლობის შედეგად, 2014 წლიდან დღემდე ბირჟაზე განხორციელდა 13 საჯარო შეთავაზება, დიდი სამუშაოები ჩატარდა იმისათვის, რომ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები დაინტერესებულიყვნენ ლარით, დენომი ნირე ბუღი ფასიანი ქაღალდების გამოშვებით და რიგი კომპანიები დაინტერესდნენ კიდეც ბირჟის სავაჭრო სისტემაში ფასიანი ქაღალდების განთავსებით.

– ცნობილია რომ 2007 წელს NASDAQ-OMX-მა საკმაოდ საინტერესო შემოთავაზება გაუკეთა საქართველოს საფონდო ბირჟას აქციათა საკონტროლო პაკეტის შესყიდვის შესახებ, თუმცა ეს გარიგება არ შედგა. რა იყო ხელის შემშლელი ფაქტორები და იგეგმება თუ არა ამ კუთხით თანამშრომლობა NASDAQ-OMX – ის მსგავს სხვა კომპანიასთან?

– ამ შეკითხვას, ვფიქრობთ, რომ უშუალოდ ბირჟამ უნდა უპასუხოს. როგორც მოგეხსენებათ, ბირჟა კერძო კომპანიაა და ის თავად აწარმოებს მოლაპარაკებებს მის პოტენციურ ინვესტორებთან. შესაბამისად, ამ კითხვის სწორი ადრესატი ბირჟაა და არა ეროვნული ბანკი. თუმცა, თუ რომელიმე ბირჟა საქართველოს ბაზრით რეალურად დაინტერესდებოდა და იმ შემთხვევაში თუ ვერ მოახერხებდა არსებული ბირჟის აქციონერებთან მოლაპარაკებას, მას ასევე მარტივად შეეძლო ზედამხედველისათვის მიემართა ახალი ლიცენზიისთვის, რაც არ მომხდარა.

– სწორი იყო თუ არა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის გაუქმება და მისი უფლებამოვალეობების მთლიანად ეროვნული ბანკისთვის გადაცემა? რა შედეგი მოგვცა ამ ქმედებამ?

– ფასიანი ქაღალდების კომისია შეიქმნა იმ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობდა საწარმოთა პრივატიზაციის მასშტაბური პროცესი და ყველა სააქციო საზოგადოება ჩაითვალა ანგარიშვალდებულ საწარმოდ. მარეგულირებლის მოდელი გადმოღებული იქნა ამერიკული კანონმდებლობიდან, სადაც საფონდო ბაზარი დიდი ხნის განვითარებული იყო. დროთა განმავლობაში გამოჩნდა, რომ განცალკევებით მდგომი მარეგულირებელი არ იყო მოქნილი და ვერ პასუხობდა იმ გამოწვევებს, რაც იმ დროს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებობდა. კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების დროს გათვალისწინებულ იყო რეგულირების ისეთი მოდელები, რომელშიც ფინანსური სექტორის ზედამხედველობა ერთი ორგანიზაციის მეშვეობით ხორციელდება და, პრაქტიკული თვალსაზრისით, უფრო მოქნილი იყო.

– იმავე კანონის ფარგლებში, კომპანიებს მიეცათ შესაძლებლობა გარიგებები ბირჟის გარეთ გაეტანათ რასაც გარიგებების 95%-ის ბირჟის გარეთ გატანა მოჰყვა. თქვენი აზრით, განაპირობა თუ არა ამან თავისუფალი ფასწარმოქმნის პრობლემა? გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

– განვითარებული ქვეყნების მაგალითებს თუ ვნახავთ, ბირჟის გარეთ გარიგებების დადების შესაძლებლობის არსებობა შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. კანონით, ბირჟის გარეთ გარიგებების დასაშვებობა განპირობებული იყო ინვესტორთა ინტერესებიდან გამომდინარე. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინვესტორის დაინტერესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მარტივი და გამართული პროცედურებია – იმ პერიოდში კი ქვეყანაში არსებობდა ერთადერთი საფონდო ბირჟა და ინვესტორები იძულებულნი იყვნენ, მისი საშუალებით ევაჭრათ, მიუხედავად იმისა, ვაჭრობდნენ ისინი საბირჟო ფინანსური ინსტრუმენტებით თუ არა.

– იგეგმება თუ არა ეროვნული ბანკის მხრიდან საფონდო ბირჟის რეგულირებაში რაიმე ცვლილებების შეტანა, რომელიც ხელს შეუწყობდა ბირჟის გამოცოცხლებას?

– რეკომენდაციები გასათვალისწინებელია, რომ კაპიტალის ბაზარი მხოლოდ ბირჟისაგან არ შედგება – კაპიტალის ბაზრის აქტიურობის დიდი ნაწილი ბირჟის გარეთ ხდება. ქვეყნის ინტერესებშია მთლიანად ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. არის ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომელიც ივაჭრება ბირჟაზე. მაგალითად, აქციები, ხოლო ზოგიერთი უპირატესად ბირჟის გარეთ, მაგალითად, ობლიგაციები. ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ მთელ რიგ ინიციატივებზე, რომელიც ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ფუნქციონალური ბაზრის შექმნას სჭირდება გარკვეული დრო. ჩვენი მიზანია, რომ გვქონდეს ლიკვიდური, ღრმა ბაზარი, რომელიც ეკონომიკაში რესურსების გადანაწილების ეფექტიანი ინსტრუმენტი იქნება. 2016 წელს გამოქვეყნდა კაპიტალის ბაზრის განვითა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

საგადასახადო სამართალდარღვევის 976 ფაქტი გამოვლინდა

31 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 976 ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 7609 გადამხდელი.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 97 ფაქტი, ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 84 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 795 ფაქტი.

100-ზე მეტი გაფრთხილება 5 თვეში

– ნეგატიურ ბაზაში მოხვედრილ რითეილერებს კრედიტის აღებაში, განვადების გაკეთებაში ან საქონლის შესყიდვაში ხელი შეეშლებათ, – ამის შესახებ „დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ივა ჭყონიამ „კომერსანტს“ განუცხადა.

„დისტრიბუტორთა ასოციაციასა“ და „კრედიტინფო“ საქართველოს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება დაახლოებით ხუთი თვის წინ გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც მისი წევრი კომპანიები „კრედიტინფოს“ ინფორმაციას იმ რითეილერების შესახებ აწვდიან, რომლებიც მათ ფულის გადახდას უგვიანებენ. ამ კომპანიების რიცხვი უკვე 40-ზე მეტია. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც სადისტრიბუციო სფეროში გამოიკვეთა პრობლემა, რომ რითეილერები მათ ფულს არ უხდიან, რის გამოც რამდენიმე ასეთი კომპანია გაკოტრდა კიდეც.

ივა ჭყონია კომერსანტთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ბაზაში არაკეთილსინდისიერი მეწარმე-სუბიექტების შეყვანის პროცედურები მიმდინარეობს, თუმცა რამდენიმე შემთხვევა უკვე დაფიქსირდა, როდესაც ნეგატიურ ბაზაში მყოფმა მეწარმემ სადისტრიბუციო მომსახურებით ვერ ისარგებლა.

– ჩვენ, დისტრიბუტორები, „კრედიტინფოსთან“ ერთად ბაზას ვქმნით და ჯერჯერობით მხოლოდ ინფორმაცია შეგვყავს ბაზაში, თუმცა ამ სიახლით რამდენიმე სადისტრიბუციო კომპანიამ უკვე ისარგებლა. კერძოდ, მასთან შემსყიდველი მივიდა, საქონლის გატანა ანგარიშსწორებით უნდოდა, მაგრამ არ გაატანეს იმიტომ, რომ ნეგატიურ ბაზაში იყო მოხვედრილი, როგორც არაკეთილსინდისიერი გადამხდელი. ანუ ამ შემსყიდველმა სადისტრიბუციო კომპანიის მომსახურებით ვერ ისარგებლა. ეს დადებითი ტენდენციაა, – განაცხადა ჭყონიამ.

მისი თქმით, თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების შედეგები დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გამოჩნდება:

– ბაზა საბოლოოდ რომ შეიკვრება, ანუ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გამოჩნდება შედეგები. იმ ობიექტებისთვის და მათ უკან მდგომი დამფუძნებელ-დირექტორებისთვის, რომლებიც არაკეთილსინდისიერი გადამხდელი მეწარმე-სუბიექტები არიან, მტკივნეული იქნება, რადგან ხვალ და ზეგ, როცა კრედიტის ასაღებად ან განვადებით საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესაძენად მივლენ, პრობლემები შეექმნებათ და ზოგადად ამ ნეგატიურ ბაზაში ყოფნა ბევრ რამეში შეუშლით ხელს.

რაც შეეხება არაკეთილსინდისიერ მეწარმეებს, ივა ჭყონიას თქმით, ასეთები ასობით არიან და უკვე ასზე მეტი გაფრთხილება დაიწერა მათ სახელზე.

– ასობით არის ასეთი არაკეთილსინდისიერი გადამხდელი, მაგრამ ჯერ მონაცემების 10%-ია შევსებული. პროცედურა ასეთია, რომ მეწარმეს ჯერ გაფრთხილებას ვუგზავნით, შემდეგ მეორედაც ვუგზავნით. ადგილზეც მივდივართ და მაინც უშედეგოა ხოლმე. ბოლოს „კრედიტინფოს“ ბაზაში შეგვყავს. ასზე მეტი გაფრთხილების წერილია შევსებული. ადრე წერილი იგზავნებოდა, რომ სასამართლოში ვუჩივლებდით. ახლა კი ვწერთ, რომ სასამართლოს მივმართავთ და „კრედიტინფოს“ ბაზაშიც შევიყვანთ, – აღნიშნა ჭყონიამ.

რაც შეეხება სადისტრიბუციო კომპანიების გაკოტრების საკითხს, რაზეც ჭყონია „კომერსანტთან“ ადრე საუბრობდა, ბოლო დროს მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა. თუმცა მანამდე რამდენიმე კომპანია გაკოტრდა იმის გამო, რომ რითეილერები მათ მიმართ არსებულ დავალიანებას არ იხდიდნენ: „ბოლო დროს ამ მიზეზის გამო არავის მოუმართავს, რომ გაკოტრდა. გაკოტრება მაშინ ხდება, როცა არა წვრილი, არამედ მსხვილი მაღაზიათა ქსელები ხდებიან გადახდისუუნარონი.

კითხვაზე, „კრედიტინფოს“ ნეგატიურ ბაზაში მსხვილი მაღაზიათა ქსელები ხვდებიან თუ არა, ივა ჭყონია გვპასუხობს, რომ მსგავსი მაღაზიების შემთხვევები უფრო გლობალურია და ამას „კრედიტინფო“ ვერ უშველის.

– აქ მხოლოდ პატარა მარკეტებზეა საუბარი. მაგალითად, „ფურშეტი“ „კრედიტინფოს“ ბაზაში რომ არ შევიყვანოთ, ისედაც ყველასთვის ცნობილია მისი ამბავი. ჩვენთან მსხვილი კომპანიები არც განიხილება. მათთან სულ სხვა მოლაპარაკებები არის. მათ თუ პრობლემა შეექმნათ, ეგ იმდენად გლობალური რამ არის, რომ „კრდიტინფოს“ ბაზაში იქნება თუ არა, არაფერს წყვეტს. აქ უფრო საცალო გაყიდვებზეა საუბარი, რომელიც პრობლემას გვიქმნის. გათვლა ქსელურ მაღაზიებზე არც ყოფილა. იქ თუ შეიქმნა პრობლემები, ეს ქვეყნის ეკონომიკაშიც სერიოზულ პრობლემას შექმნის. „ფურშეტის“ შემდეგ, მსგავსი პრობლემა დიდ მაღაზიებს არ ჰქონიათ, – განაცხადა ივა ჭყონიამ.

შეგახსენებთ, რომ მაღაზიათა ქსელი „ფურშეტი“, რომელსაც სადისტრიბუციო კომპანიების მიმართ დავალიანება ჰქონდა, რამდენიმე თვის წინ გაკოტრდა, რითაც სადისტრიბუციო კომპანიებმა მნიშვნელოვნად იზარალეს.

რუსეთის ხელისუფლებამ 2006 წელს დეპორტირებულ ქართველს 30.000 ევროს კომპენსაცია ჩაურიცხა

„კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ინფორმაციით, რუსეთის ხელისუფლებამ პირველად აღასრულა ევროსასამართლოს დადგენილება და 2006 წელს დეპორტირებულ ქართველს 30 000 ევროს კომპენსაცია ჩაურიცხა.

არასამთავრობო ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ რუსეთ-საქართველოს საერთაშორისო დავებში ეს უპრეცედენტო მოვლენაა.

– 12 ივლისს პუტინის ხელისუფლებამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულ ქართველს 30 000 ევრო ჩაურიცხა. საქართველოს მოქალაქე ლია შიოშვილის საქმე ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული გახდა იმ უამრავ საქმეს შორის, რომელთა განხილვაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის ფარგლებში დააკმაყოფილა. რუსეთის ხელისუფლებამ პირველად აღასრულა ევროსასამართლოს დადგენილება და დაზარალებულს კომპენსაცია აუნაზღაურა. გასული წლის 21 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოსარჩელე შიოშვილის საჩივარი დააკმაყოფილა და რუსეთს მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის 30 000 ევროს გადახდა დააკისრა. 2006 წლის 20 ოქტომბერს, რუსმა სამართალდამცველებმა რვა თვის ფეხმძიმე ლია შიოშვილი ოთხ მცირეწლოვან შვილთან ერთად, მოსკოვის ოლქის ქალაქ რუზაში დააპატიმრეს. შემდეგ კი, უკვე ცხრა თვის ფეხმძიმეს, საქართველოსკენ მატარებლით მგზავრობისას დაღესტანში, ქალაქ დერბენდში, დოკუმენტების გაუმართაობის მოტივით გზის გაგრძელების შესაძლებლობა აღარ მისცეს. ასთმით დაავადებული ცხრა თვის ფეხმძიმე ქალი, 4 მცირეწლოვან ბავშვთან და სხვა ქართველებთან ერთად, 2 კვირის განმავლობაში გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა. უკიდურესად გაწამებულმა ქართულმა ოჯახმა, მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში შეძლო ფეხით გადმოევლო დაღესტან-აზერბაიჯანის საზღვარი. 15 დეკემბერს კი გურჯაანის საავადმყოფოში ლია შიოშვილის მშობიარობა უმძიმესი შედეგით დასრულდა, – აღნიშნულია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის მიერ 2006-2007 წლებში საქართველოს 7000-ზე მეტი მოქალაქის დეპორტაცია მოხდა.

ლია შიოშვილისა და კიდევ 10 დეპორტირებულის უფლებებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ იცავს.

გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე თანამდებობას ტოვებს

გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე თანამდებობას ტოვებს. როგორც გია სალუქვაძემ განაცხადა, პოსტს ის მომავალ კვირაში დატოვებს.

– სხვა სამსახურში გადავდივარ. თვითმმართველობის არჩევნების ოთხწლიანი ციკლი დასრულდა. ახალი გამგებლები, ახალი გუბერნატორები უნდა მოვიდნენ, მე ასე ვთვლი. ვთვლი, რომ ჩემი მისია ამ ეტაპზე ამოვწურე, – აღნიშნა გია სალუქვაძემ.

გია სალუქვაძე ჯერჯერობით არ საუბრობს, თუ სად გააგრძელებს საქმიანობას. მისი თქმით, რამდენიმე შემოთავაზება აქვს.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის გია სალუქვაძეს გუბერნატორის პოსტზე. „გურიანიუსის“ ინფორმაციით, აღნიშნულ თანამდებობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, მერაბ ჭანუყვაძის კანდიდატურა განიხილება.

– ჭანუყვაძესთან სამი წელი ვიმუშავე, ძალიან კარგი ყმაწვილია, ახალგაზრდა კაცია და წარმატებები მინდა ვუსურვო, თუკი ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, – აღნიშნა გია სალუქვაძემ და დასძინა, რომ ახალი კანდიდატის ვინაობა პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტია.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორმა თანამდებობა დატოვა

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორმა პაპუნა მარგველიძემ თანამდებობა დატოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პაპუნა მარგველიძემ განუცხადა, ის მუშაობას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მრჩევლად გააგრძელებს.

მარგველიძისთვის უცნობია, თუ ვინ დაიკავებს გუბერნატორის პოსტს. პაპუნა მარგველიძე გუბერნატორის პოსტს 2013 წლიდან იკავებდა.

როგორც ცნობილია, ახალი გუბერნატორი ეყოლება გურიასაც. მოქმედი გუბერნატორი გია სალუქვაძე თანამდებობას რამდენიმე დღეში დატოვებს.

კობა გვენეტაძე: „საქართველოს რეგიონის ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბების პერსპექტივა აქვს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

რების სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც ეროვნული ბანკისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა. სტრატეგიაში ჩამოთვლილია ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებასაც ვგეგმავთ მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში. ასევე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ეროვნული ბანკი, შემდგომი 3-4 წლის ვადაში უზრუნველყოფს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების ევროპულ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანას. იგივე შეეხება საფონდო ბირჟის მარეგულირებელ კანონმდებლობასაც. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით, ასევე საგადასახადო გარემოს დახვეწის მიმართულებით. ვმუშაობთ დერივატივების კანონის პროექტზე, საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონის პროექტზე და რეგულარულად ტარდება ტრეინინგები ბაზრის მონაწილეთა ცოდნის ამაღლების მიზნით. ყოველივე ამან ასახვა უნდა ჰპოვოს ბაზრის ბრუნვების ზრდაში.

ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ მოსახლეობას არ აქვს ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. როგორც მოგეხსენებათ, ფასიან ქაღალდებში ინვესტირება ბევრად უფრო რისკიანია, ვიდრე, მაგალითად, საბანკო დეპოზიტებში და შესაბამის სპეციფიკურ ცოდნას საჭიროებს. პოტენციურმა ინვესტორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ კომპანიის მიერ მომზადებულ პროსპექტში ასახულ მონაცემებს და მხოლოდ ამ მონაცემების ანალიზის, კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკ ფაქტორების, შესაძლო ნეგატიური თუ პოზიტიური შედეგების გაცნობიერების შემდეგ, მიიღონ მათთვის კონკრეტულ მომენტში ხელსაყრელი გადაწყვეტილება.

ყოველთვის არსებობს ალბათობა, რომ ბაზარზე გაჩნდებიან ისეთი ემიტენტებიც, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ სათანადო გამოცდილება და უნარი, დააკმაყოფილონ ყველა ის ვალდებულება, რაც მათ მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდს უკავშირდება. მარეგულირებლის – ეროვნული ბანკის – ფუნქციას არ წარმოადგენს ემიტენტების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ ფინანსურ ინსტიტუტებს. ამიტომ, ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირება ინვესტორის პირადი რისკით ხდება.

– აქვს თუ არა საფონდო ბირჟას შანსი განვითარდეს და გახდეს რეგიონული ცენტრი?

– საქართველოში, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, არის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, მოქნილი გაცვლითი კურსი, განვითარებული საფინანსო სისტემა და საკანონმდებლო გარემო. შესაბამისად, ვფიქრობთ, ჩვენ ნამდვილად გვაქვს რეგიონის ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბების პერსპექტივა, მით უფრო იმ თანმიმდევრული პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც კაპიტალის ბაზრის სტრატეგიითაა გათვალისწინებული. ადგილობრივი ბაზრის განსავითარებლად ბოლო პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებების წარმატებით განხორციელება, მოსალოდნელია საერთაშორისო აქტორების მხრიდან დაინტერესების კიდევ უფრო ზრდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს კაპიტალის ბაზარი ჯერ უნდა გახდეს მიმზიდველი ადგილობრივი კომპანიებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება რეგიონალურ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბებაზე გვქონდეს პრეტენზია. ამისათვის საჭიროა, რომ როგორც ბირჟა, ასევე ბაზრის სხვა სეგმენტები ინვესტორებსა და კომპანიებს სთავაზობდნენ მოქნილ და იაფ სერვისს. ამავე დროს, ანგარიშსწორება და ვაჭრობა უნდა იყოს ისეთივე უსაფრთხო და ურისკო, როგორც განვითარებულ ბაზრებზეა. საგადასახადო და მარეგულირებელი გარემო უნდა იყოს გამჭვირვალე, ვაჭრობის მონაწილე მხარეთათვის ადვილად გასაგები და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი. სწორედ ამ პრობლემების აღმოფხვრისკენ არის მიმართული ეროვნული ბანკისა და მთავრობის ძალისხმევა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერითა და კერძო სექტორის ჩართულობით მიმდინარეობს.

ასევე, მთავრობა გეგმავს საპენსიო რეფორმის განხორციელებას, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის მოთხოვნას ადგილობრივ ფასიან ქაღალდებზე. გარდა ამისა, მუშავდება ახალი კანონის პროექტი, რომელიც დაარეგულირებს საინვესტიციო ფონდების საქმიანობას და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საფონდო ბირჟისა და ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის. მიმდინარეობს ფასიანი ქაღალდების გარიგებებთან დაკავშირებული საგადასახადო ნორმების გადახედვა და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. ვიწყებთ ევროკავშირის შესაბამისი მარეგულირებელი ნორმებისა და კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან აპროქსიმაციას, რათა მარეგულირებელი და საზედამხედველო პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში მოვიყვანოთ საერთაშორისო სტანდარტებთან. ეს ნაბიჯები კაპიტალის ბაზრის განვითარების ახალ სტადიაზე გადასვლის აუცილებელ, თუმცა არასაკმარის, წინაპირობას წარმოადგენენ.

პ.ს. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან გარკვეული პერიოდის წინ ჩაიწერა. სწორედ ამ დროს საქართველოს საფონდო ბირჟის მინორიტარი აქციონერები, სასამართლო დავას აწარმოებდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ, რომელიც შეეხებოდა ეროვნული ბანკის მიერ 2015 წლის ივლისში ახალი საფონდო ბირჟის – თბილისის საფონდო ბირჟის ლიცენზირების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის ინდივიდუალურ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას. აღნიშნული სასამართლო დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე წლის 3 ივლისს დასრულდა ეროვნული ბანკის სასარგებლოდ.

სასამართლომ პატრიოტთა ალიანსის დეპუტატ გელა მიქაძის 42.5 მილიონი დოლარის აქტივების გაყინვის ბრძანება გამოსცა

ლონდონის სააპელაციო სასამართლომ „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატის, გელა მიქაძის 42.5 მილიონი დოლარის ღირებულების აქტივების გაყინვის ბრძანება გამოსცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „რაკიადან“ აცნობეს, საქართველოს პარლამენტის წევრმა „პატრიოტთა ალიანსიდან“ და საქართველოში „რას ალ ხაიმას“ კომპანიის ყოფილმა დირექტორმა გელა მიქაძემ დიდი ბრიტანეთის სააპელაციო სასამართლოში საქმე წააგო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დიდ ბრიტანეთში მიქაძის მფლობელობაში არსებული 42 561,555 აშშ დოლარის ღირებულების აქტივები გაიყინება.

– ვერდიქტი მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც იგი თაღლითობაში დამნაშავედ ცნეს როგორც საქართველოში, ასევე არაბთა გაერთიანებულ საემიროებში. საქართველოს სასამართლომ მას თაღლითობით მითვისებული 951 ჰა მიწის დაბრუნება მოსთხოვა. ეს კი, ლონდონის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად ნიშნავს, რომ მიქაძეს ამჟამად ეკისრება როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ლონდონის სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, ჰქონდა თუ არა მიქაძეს აქტივები რომელიმე მასთან დაკავშირებულ შპს-ში, რომელთა გაყინვა შესაძლებელი იქნებოდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „ამასწინათ განხორციელებული მნიშვნელოვანი ტრანზაქციების“ საფუძველზე, „რომლებიც ახსნა-განმარტებას საჭიროებს“, მიქაძის მფლობელობაში არსებულთაგან სამ შპს-ში აქტივების გაყინვა შესაძლებელი იყო. აქტივების გაყინვის შესახებ ბრძანების გარდა, ლონდონში მიმდინარე პროცესზე მიქაძის დაბეჯითებული უარყოფის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მიქაძემ საქართველოში „რაკიას“ მიმართ თაღლითობა ჩაიდინა. სასამართლომ აგრეთვე მიიჩნია, რომ მიქაძე დიდ ბრიტანეთში ფლობდა, ან აკონტროლებდა შპს-ებს და განაჩენში იგი ამ ყალბი კომპანიების „მარიონეტ მფლობელად“ მოიხსენია. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე ნება დართო „რაკიას“, მოითხოვოს დიდ ბრიტანეთში მიქაძის სამ შპს-ში აქტივების განმკარგველის დანიშვნის ბრძანების გამოცემა. „რას ალ ხაიმას“ სახელმწიფო კომპანიები ამჟამად შეძლებენ, შეისწავლონ ბ-ნი მიქაძის სახელზე ლატვიაში გახსნილი საბანკო ანგარიშები, რომლებზეც, სავარაუდოდ,

მისი თაღლითურად მოპოვებული თანხების დიდი ნაწილია განთავსებული და რომლებიდანაც ისინი მესამე მხარეებს ერიცხებოდათ. სააპელაციო სასამართლოს აზრით, ბ-ნ მიქაძეს ლატვიის დედაქალაქ რიგაში არსებულ ი V ბანკში არა ერთი ანგარიში ჰქონდა გახსნილი. ის ფაქტი, რომ ლატვია ევროკავშირის წევრია, სავარაუდოდ, მიქაძის აქტივების მიმართ იძულებითი აღსრულების პროცედურას გაამარტივებს“, – ნათქვამია „რაკიას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

– ჩემი კლიენტი ძალიან კმაყოფილია ამ შედეგით, ვინაიდან ეს უზრუნველყოფს სასამართლო მხარდაჭერას „რას ალ ხაიმას“ მთავრობისადმი, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მოიპოვოს ინფორმაცია მიქაძისა და მისი პარტნიორების მიერ აქტივების მითვისების შესახებ „გიორგი ჯანაშიას და ხატერ მასაადის“ საქმის ფარგლებში. თავიდანვე ვიცოდით, რომ მიქაძის სამართალში მიცემა რთული იქნებოდა, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში მასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი შპს-ების გამო. „რაკია“ კვლავაც გააგრძელებს მიქაძის, ჯანაშიასა და მასაადის სამართლებრივ დევნას დიდი ბრიტანეთის, საქართველოსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების სასამართლოებში და იგი არ გაჩერდება. ვაპირებთ ვითანამშრომლოთ ლატვიის ხელისუფლებასთან, რათა დავადგინოთ, განათავსა თუ არა მიქაძემ მითვისებული სახსრები რიგის ბანკის ანგარიშებზე, – განაცხადა იურიდიული ფირმის შპს შტეწარტს აწ-ის პარტნიორმა დევიდ ჰიუზმა.

სადახლოზე 4.000 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო საავტომობილო“ 4.000 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, 8-9 აგვისტოს საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ქვეყანაში არადეკლარირებული სიგარეტის შემოტანის ორი ფაქტი აღკვეთეს. ჯამში 4.000 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი სომხეთის მოქალაქეების მ.კ-სა და ს.ბ-ს მანქანაში მოწყობილ სამალავსა და ხელბარგში იპოვეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ პირებს სანქციის სახით შეეფარდათ ფულადი ჯარიმა ათას-ათასი ლარის ოდენობით. ასევე, ჩამოერთვათ საქონელი.

ბათუმში ორი ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად ბიონარკოტიკის მოხმარება სახელდება

ბათუმში ორი ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალების ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად ბიონარკოტიკის მოხმარება სახელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში არ ადასტურებენ ინფორმაციას, რომ ცხედრებს ძალადობის კვალი აღენიშნებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილთაგან ერთ-ერთს, სავარაუდოდ, ყელი ჰქონდა გამოჭრილი, ასევე დაზიანებები ჰქონდა ორივე თვალის არეში.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადეს, რომ გარდაცვალების მიზეზთან დაკავშირებით დასკვნა 30 დღის განმავლობაში გახდება ცნობილი, თუმცა ამ დროისათვის არსებული ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, ახალგაზრდების გარდაცვალება ე.წ „ბიოს“ მოხმარებას გამოეწვია.

ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე, საცხოვრებელ კორპუსში ორი ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი გუშინ იპოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება სსკ 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გარდაცვლილები ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან საკუთარ სახლებში გადაასვენეს.

გულფოსის ჩანჩქერის ტერიტორიაზე გაუჩინარებული 22 წლის ნიკა ბეგაძის სამძებრო ღონისძიებები გრძელდება

ისლანდიაში, გულფოსის ჩანჩქერის ტერიტორიაზე გაუჩინარებული 22 წლის ნიკა ბეგაძის სამძებრო ღონისძიებებს ისლანდიის ოფიციალური სტრუქტურები ამ დრომდე აგრძელებენ, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დანიის სამეფოსა და ისლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა გიგი გიგიაძემ განუცხადა. მისივე თქმით, სამძებრო სამუშაოებში საზღვაო-სასაზღვრო ვერტმფრენების გამოყენებითაც მიმდინარეობდა.

– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, შესაბამისი სამძებრო სამუშაოები ასეთ დროს გათვალისწინებული პროცედურის თანახმად გრძელდება. ბოლო წერილით, ისლანდიის ოფიციალურმა სტრუქტურებმა გვაცნობეს, რომ ასევე საზღვაო-სასაზღვრო ვერტმფრენებიც მიიღებდნენ მონაწილეობას სამძებრო ღონისძიებებში, სავარაუდოდ, მდინარის ზღვასთან შესართავის სანახავად. თუ ახალი ინფორმაცია ექნებათ, დაუყოვნებლივ შეგვატყობინებენ.

მიუხედავად იმისა, რომ სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოხერხდა დაკარგულის პოვნა, ისლანდიის პოლიციამ და სამაშველო სამსახურმა, მართლაც ძალიან დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს და უკიდურესი პასუხისმგებლობით შეასრულეს საკუთარი მოვალეობები, რისთვისაც ნამდვილად ძალიან მადლობელი ვარ. გაწეული სამუშაოს შესახებ, მათ ასევე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს ოჯახის წევრებსაც, რომლებიც ისლანდიაში იმყოფებოდნენ, – განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში გიგი გიგიაძემ.

ნიკა ბეგაძის მამა და სიძე, ისლანდიაში 31 ივლისს ჩაფრინდნენ. როგორც გიგი გიგიაძე „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში აცხადებდა, ისინი შეხვდნენ პოლიციის შესაბამისი განყოფილების თანამშრომელს, ვისგანაც მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია ჩატარებული მასშტაბური სამძებრო ღონისძიებების შესახებ და ამის შემდეგ, ასევე მივიდნენ იმ ადგილას, მდინარესთან,

სადაც მოხდა უბედური შემთხვევა. ბეგაძის ოჯახის წევრები საქართველოში ორ დღეში დაბრუნდნენ.

ნიკა ბეგაძე 19 ივლისს, ისლანდიაში გულფოსის ჩანჩქერის ტერიტორიაზე გაუჩინარდა. ისლანდიის ოფიციალურმა სტრუქტურებმა დაკარგული ახალგაზრდის სამძებრო ღონისძიებები იმავე დღეს დაიწყეს, თუმცა 24 ივლისს დროებით შეწყვიტეს, რამდენიმე დღეში კი ისევ განაახლეს. 19 ივლისიდან დღემდე ნიკა ბეგაძის სამძებრო ღონისძიებები არ შეუწყვეტიათ მის მეგობრებს.

ნიკა ბეგაძე ვიდეო კამერებმა ბოლოს 19 ივლისს, გულფოსის ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე დააფიქსირეს და დღემდე მისი მოძებნა ვერ მოხერხდა. ჩანჩქერისა და მდინარის ტერიტორიაზე პოლიციამ ნახა ავტომანქანა, რომელიც მის მეგობარ გოგონას ეკუთვნოდა, ასევე ნაპოვნია მისი პირადი ნივთები და შუაზე გადატეხილი ტელეფონი.

რუსთაველი ახალგაზრდა ნიკა ბეგაძე მეორე წელია ისლანდიაში, ქალაქ რეიკიანესბერგში ცხოვრობდა. ნიკა ბეგაძე კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი – პროგრამისტი იყო.

ნინოწმინდასა და ყაზბეგში არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს

ნინოწმინდასა და ყაზბეგში არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 7-8 აგვისტოს, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „ნინოწმინდა“ და „ყაზბეგი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ჯამში 317.39 გრამი ოქროს არადეკლარირებული ნაკეთობები აღმოაჩინეს.

კერძოდ, 7 აგვისტოს, საბაჟო გამშვებ პუნქტ „ნინოწმინდაში“ 232.13 გრამი არადეკლარირებული საქონელი სომხეთიდან შემომავალი საქართველოს მოქალაქის, მ.ს-ს ბარგის დათვალიერებისას გამოვლინდა. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 14,070.40 ლარი შეადგინა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ პირს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა, 14,070.40 ლარის ოდენობით შეეფარდა. ხოლო 8 აგვისტოს, არადეკლარირებული საქონელი, 85.26 გრამი ოქროს ნივთები, საბაჟო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგში“, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, შ.ტ-ს ხელბარგში აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 4063.34 ლარი შეადგინა. შესაბამისად, მოქალაქეს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 4063.34 ლარის ოდენობით.

სოფელ შროშასთან ტრაილერი ხევში გადავარდა

რიკოთის უღელტეხილზე, სოფელ შროშასთან ტრაილერი სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხევში გადავარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. მომხდარი პოლიციამ ადმინისტრაციული წესით გააფორმა.

გურჯაანში შუა ხნის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში შუა ხნის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს.

თვითმხილველებმა ცხედარი თონეში ნახეს.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებულია პოლიცია.

არსებული ინფორმაციით, სოფელ ნანიანის მკვიდრი, 60 წლის მამაკაცი საცხობში გარდაიცვალა.

ოჯახის წევრების თქმით, მამაკაცი ავადმყოფობდა. გარდაცვალების მიზეზი სავარაუდოდ გულის შეტევაა.

ოჯახმა ექსპერტიზაზე უარი თქვა. გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო.

უბედური შემთხვევა წალენჯიხაში — ხის ჭრისას 30 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

წალენჯიხის რაიონში 30 წლის მამაკაცი ხეს ჭრიდა, როდესაც სიმძიმის გამო ვერ დაიმორჩილა და ხის ქვეშ მოჰყვა.

მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 116–ე მუხლით, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

საოკუპაციო ხაზთან რუსმა ოკუპანტებმა წალენჯიხის მკვიდრი დააკავეს

საოკუპაციო ხაზთან რუსმა ოკუპანტებმა წალენჯიხის რაიონის სოფელ პალურის მკვიდრი, ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს. წალენჯიხის გამგებლის ინფორმაციით, უტა სამუშია მდინარე ენგურზე სათევზაოდ იყო წასული და მისი აყვანა სოფლების – პალურისა და რიყის საზღვართან მოხდა.

ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურშიც ადასტურებენ. უწყების ცნობით, სამუშია ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის“ ბრალდებით არის დაკავებული.

სუს-ის პრესსამსახურში აცხადებენ, რომ მომხდარის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებს უკვე აცნობეს.

– დაკავებულია ერთი პირი ე.წ. საზღვრის უკანონოდ კვეთის ბრალდებით. ფაქტის შესახებ ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია. ამოქმედებულია ცხელი ხაზი და მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული პირის გასათავისუფლებლად, – აცხადებენ სუს-ში.

ჩრდილოეთ კორეა აშშ-ს სარაკეტო დარტყმით დაემუქრა

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ აშშ-ზე სარაკეტო დარტყმას ამზადებს.

– ეს საკითხი ჩვენს გენერალურ შტაბში სერიოზულად განიხილება, – თქვა კიმ ჩენ ინმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პასუხად განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის მუქარები უკვე ყელში ამოუვიდა.

– ფხენიანის ბოდვა ბაყაყის ყიყინს მაგონებს, რომელსაც ჰგონია, რომ გოლიათის ტოლია! –ამბობს აშშ-ის პრეზიდენტი.

ტრამპმა ხაზი გაუსვა, რომ საომარო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ჩრდილოეთ კორეა აღგვილი იქნება პირისაგან მიწისა.

– ის არნახული ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდება, ისეთისა, როგორიც ისტორიას ჯერ არ ახსოვს! – განაცხადა ტრამპმა.

ტრამპი: თეთრი სახლიდან ინფორმაციები გადის!

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ საიდუმლო ინფორმაციები ჩრდილოეთ კორეის შესახებ, რომლებიც თეთრ სახლს სპეცსამსახურებმა გადასცეს, მედიაში ხვდება. ტრამპმა მაგალითად მოიყვანა „ფოქს ნიუსის“ გადაცემები, სადაც ჩრდილოეთ კორეის შესახებ საიდუმლო ინფორმაციები გაჟღერდა.

ტრამპმა „ფოქს ნიუსის“ წამყვანს მადლობა გადაუხადა, რადგანაც მისმა გადაცემამ საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ჩრდილოეთ კორეა აშშ-სათვის საფრთხეს წარმოადგენს და მის მიმართ რადიკალური მოქმედებაა აუცილებელი. ამავე დროს ტრამპმა გენპროკურორ სეშნის მოუწოდა, საიდუმლო ინფორმაციების გამსაჯაროებელთა მიმართ შეურიგებელი იყოს.

– მსურს ბატონ სეშნის ვუთხრა, რომ როცა საქმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საიდუმლო ინფორმაციების გამჟღავნებას შეეხება, მაქსიმალურად მკაცრები უნდა ვიყოთ, – თქვა ტრამპმა.

ისრაელი რუსეთთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებს?

თანახმად ჟურნალ „ზაარეტზ“ -ის ინფორმაციისა, ისრაელი, რუსეთი და აშშ საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებენ. დიალოგის ძირითადი თემა სირიაში შექმნილი მდგომარეობაა. გამოცემის ცნობით, მოლაპარაკებები მძიმედ მიმდინარეობს. ისრაელი სირიიდან ირანის ჯარის გაყვანას მოითხოვს. რუსეთი ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

– სირიიდან ირანის ჯარის გაყვანა ტრამპ-პუტინის საიდუმლო შეხვედრის მთავარი თემა იყო, – წერს გამოცემა.

ტრამპმა პუტინთან საიდუმლო შეხვედრის ფაქტი უარყო. მან განაცხადა, რომ სირიის გარშემო არავითარი საიდუმლო მოლაპარაკებები არ წარმოებს.

– ვინც ამას ამტკიცებს, ცრუობს, – თქვა ტრამპმა.

დონბასში მდგომარეობა კვლავ დაიძაბა

უკრაინის არმიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა, გენერალმა მუჟენკომ განაცხადა, რომ სეპარატისტების მხარეს 40.000 მეომარია. გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ ე.წ. დონბასელი მოლაშქრეების ხერხემალს რუსეთის რეგულარული არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები შეადგენენ. დღეისთვის სეპარატისტთა რიგებში 5.000 რუსი ოფიცერი იმყოფება. რაც შეეხება უშუალოდ დონბასის მკვიდრთ, მათი რაოდენობა მოლაშქრეთა რიგებში 10.000-ს არ აღემატება. მოსკოვი სეპარატისტებს უახლესი რუსული სამხედრო ტექნიკით ამარაგებს.

– ჩვენ ამ ტექნიკას სისტემატიურად ვანადგურებთ, – თქვა მუჟენკომ.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, დონბასში მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. რუსმა ოკუპანტებმა უკრაინელებს ცეცხლი 28-ჯერ გაუხსნეს. სისხლიან შეტაკებებს ადგილი ჰქონდა შიროკინოსთან (მარუპოლის მახლობლად), პესკისთან, ავდეევკასთან. დაღუპულია 3 უკრაინელი ჯარისკაცი, 7 დაჭრა. მტრის დანაკარგებია 5 მოკლული და 6 დაჭრილი. დონბასელი სეპარატისტების ლიდერმა ზახარჩენკომ მომხდარში უკრაინელები დაადანაშაულა. მან განაცხადა, რომ კიევი შეტევისათვის ემზადება და უახლოეს დღეებში დონბასის ფრონტზე ინტენსიური ბრძოლები განახლდება.

– ყველაფერი ისეა, როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. რუსები თავს გვესხმიან და ამაში ჩვენ გვადანაშაულებენ. როგორც ჩანს, პუტინმა გადაწყვიტა, რომ აგვისტოში დონბასის ფრონტზე მისთვის სასურველ გარდატეხას მიაღწიოს, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

თურქეთმა ირანის საზღვარზე კედლის მშენებლობა დაიწყო

თურქეთმა ირანის საზღვარზე კედლის მშენებლობა დაიწყო. პრეზიდენტ ერდოღანის განცხადებით, ირანის გარკვეული ძალები მხარს ქურთ ტერორისტებს უჭერენ. საუბარია ქურთისტანის მუშათა პარტიაზე, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ ტერაქტებს აწყობს.

– გვაქვს ინფორმაცია, რომ ტერორისტები გააქტიურებას აპირებენ. ამიტომ იძულებულნი ვართ, ზომები მივიღოთ, – თქვა ერდოღანმა.

მიწისძვრა ჩინეთში

ჩინეთში, სენჩუანის პროვინციაში მიწისძვრა მოხდა. თანახმად ბი-ბი-სი-ს ინფორმაციისა, 6 ადამიანი დაიღუპა, 6-ზე მეტი დაშავდა. რტრ-ის ცნობით, მსხვერპლის რაოდენობა გაცილებთ მეტია.

– მიწისძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ რყევები ნოვოსიბირსკშიაც კი იგრძნობოდა, – იტყობინება რტრ-ი.

ჩინეთის მთავრობამ მომხდარის გამო სამთავრობო კომისია შექმნა. მიმდინარეობს მუშაობა ზარალის ზუსტი რაოდენობის დასადგენად.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ამერიკელმა უდაბნოში ორი დღე საკვების გარეშე გაატარა

ამერიკის არიზონას შტატის ქალაქ ფინიქსის მცხოვრებმა მანქანის გაფუჭების გამო, მთის უდაბნოში ორი დღე პრაქტიკულად საკვების გარეშე გაატარა.

მიკ ომანი მეშახტეთა ქალაქ-მოჩვენება კრაუნ კინგში, რომელიც ბრედშოუს მთებში მდებარეობს, ერთდღიან მოგზაურობაში გაემგზავრა ისე, რომ საკუთარი გეგმის თაობაზე ნათესავები საქმის კურსში არ ჩაუყენებია. უკანა გზაზე მან გადაწყვიტა, ტრასით არ ესარგებლა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ომანს სურდა ბუნების ხედებით დამტკბარიყო და ამიტომ გზიდან გადაუხვია, მაგრამ მისი მანქანა ქვიან გზაზე გაფუჭდა. ეს კრაუნ კინგიდან 25 კილომეტრში მოხდა.

ომანის თქმით, ის რამდენიმე საათი დადიოდა შემოგარენში იმის იმედით, რომ ქსელის სიგნალს დაიჭერდა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. საკვებიდან და სასმელიდან მამაკაცს თან ჰქონდა ნახევარი ბოთლი წყალი, ორი ქილა ლუდი, სენდვიჩი და კრეკერები. ამასთან სიცხის გამო ბუტერბროდი მალე გაფუჭდა. როდესაც მარაგი ამოეწურა, ის იძულებული გახდა, წყურვილის მოსაკლავად საკუთარი შარდი დაელია. ომანის თქმით, ეს არც ისე ამაზრზენი გამოდგა, როგორ მას წარმოედგინა.

მამაკაცი, საკუთარი მანქანის მინაზე წერილს ტოვებდა, როდესაც ადგილმდებარეობის შესასწავლად მიდიოდა, ასევე ქვებით გააკეთა წარწერა, რომლითაც დახმარება ითხოვდა. მან ასევე სმარტფონით გადაიღო რამდენიმე ვიდეო იმ შემთხვევისთვის, თუ მას ვერ იპოვიდნენ.

მეორე დღეს ომანმა მანქანის გაფუჭების ადგილის შორიახლოს ნაკადული აღმოაჩინა. მანქანაში მეორე ღამის გათევის შემდეგ, მან გადაწყვიტა, მანქანა დაეტოვებინა და დახმარების მოსაძებნად გაეშურა. გამთენიისას მან ბაიკერი შენიშნა და მისი ყურადღების მიპყრობა მოახერხა. მან უიღბლო მოგზაური პოლიციაში მიიყვანა.

საბოლოოდ ომანს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა საავადმყოფოში დარჩენაზე უარი განაცხადა. მამაკაცს სახლამდე მიღწევაში დაეხმარნენ, ხოლო მოგვიანებით ჯი-პი-ეს-კოორდინატების დახმარებით მის ავტომობილსაც მიაგნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

რეალი სუპერთასის მფლობელია

რეალი-მანჩესტერი 2:1

სკოპიე. ტელეკომი

1:0 კაზემირო (24), 2:0 ისკო (52), 2:1 ლუკაკუ (62)

რეალი: ნავასი, კარვახალი, ვარანი, რამოსი, მარსელო, მოდრიჩი, კაზემირო, კროოსი, ისკო (ვასკესი 74), ბენზემა (რონალდუ 83), ბეილი (ასენსიო 74)

მანჩესტერი: დე ხეა, ლინდელოფი, სმოლინგი, დარმიანი, ვალენსია, ერერა (ფელაინი 56), მატიჩი, პოგბა, ლინგარდი (რეშფორდი 46), მხითარიანი, ლუკაკუ

ახალი ევროსეზონი სუპერთასით გაიხსნა, სადაც ჩემპიონთა ლიგის მომგები მადრიდის რეალი, ევროპის ლიგის ტრიუმფატორ მანჩესტერ იუნაიტედს დაუპირისპირდა.

ეს მატჩი იმითაც იყო საინტერესო, რომ მანჩესტერელთა თავკაცმა ჟოზე მოურინიომ ყოფილი გუნდის წინააღმდეგ გაიყვანა მანჩესტერელები. ასევე ყოფილი გუნდის წინააღმდეგ გაისარჯა მადრიდელთა ლიდერი კრიშტიანუ რონალდუ, თუმცა, მხოლოდ 7 წუთი.

2 უდიდესი კლუბი წარდგა ერთმანეთის წინაშე და მატჩიც მაღალი დონის გამოდგა. მართალია, კოსმოსური დონის ფეხბურთი არ უჩვენებიათ, მაგრამ თამაში შედგა. პირველ ტაიმში რეალი უკეთ გამოიყურებოდა – ზინედინ ზიდანის გუნდი ბურთს აკონტროლებდა და დე ხეას კართან ზეწოლას ახდენდა. ამიტომაც კაზემიროს მიერ გატანილი გოლი ლოგიკურიც იყო.

გაშვებული გოლის შემდეგ მანჩესტერიც გააქტიურდა, მაგრამ შესვენებამდე ანგარიში არ შეცვლილა.

მე-2 ტაიმიც მადრიდელთა უპირატესობით დაიწყო და მალე ლამაზი გოლიც გავიდა – ისკომ და ბეილმ მოკლე მონაკვეთში გაითამაშეს ბურთი და ისკომ შეტევა შედეგიანად დაასრულა.

ამის შემდეგ მანჩესტერი მეტოქეს „ეკვეთა“. ჯერ რომელუ ლუკაკუმ ვერ გამოიყენა ასპროცენტიანი შესაძლებლობა, მაგრამ შემდეგ შეცდომა გამოასწორა, როდესაც მატიჩის დარტყმულსა და ნავასის მოგერიებულს დაამატა.

მოურინიოს გუნდი ბევრს ეცადა გაეთანაბრებინა, მაგრამ ვერაფერი გააწყო მწყობრად მოთამაშე რეალის დაცვასთან. მადრიდული კლუბი კი აგრძელებს ჯილდოების მოპოვებას ევროტურნირებზე...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ისკო

ისკო შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე მოქმედებდა და შესანიშნავი მატჩი გამოუვიდა. ჭირდა მისთვის ბურთის ართმევა, რაც რეალს შეტევებს უიოლებდა. მოდრიჩთან ერთად კარგად კომბინირებდა და მუდმივად ამწვავებდა სიტუაციას. რაც მთავარია, გაიტანა გოლი, რომელიც გამარჯვების აღმოჩნდა.

ზინედინ ზიდანი:

– 90 წუთის განმავლობაში უმაღლეს დონეზე ლამაზი ფეხბურთის დემონსტრირება შეუძლებელია. ჩვენ მაღალი ხარისხის ფეხბურთი ვაჩვენეთ. თამაშში პირველი წუთიდან ჩავერთეთ და საუცხოო სანახაობა ვაჩვენეთ. რთული იყო, მაგრამ თამაშს ვაკონტროლებდით. ბეილს მე-3 გოლი რომ გაეტანა, ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ ჩვენ გვყავდა ოპონენტი, რომელსაც პრობლემების შექმნა შეუძლია და ამიტომ, სავსებით ნორმალურია, რომ იოლი თამაში არ გვქონდა. მიმდინარე სეზონში კიდევ უფრო გაგვიჭირდება, რადგან ბევრი მძიმე ორთაბრძოლა გვექნება, მაგრამ გამარჯვებათა სერიის გასაგრძელებლად მზად ვართ. რთული იყო თუ არა რონალდუს თადარიგში დატოვება? არა, რადგან ასე ვგეგმავდით. მან ხომ ჩვენთან ერთად მხოლოდ 3 დღე ივარჯიშა. კრიშტიანუ მწყობრშია და უკვე კვირას გასამართ მატჩზე ფიქრობს.

ჟოზე მოურინიო:

– ჩვენი თამაშის ბევრი ასპექტით კმაყოფილი ვარ. პრემიერლიგაში ხომ რეალი არაა. ჩვენ ტოპ-კლასის გუნდი გვყავს, მაგრამ რეალი უბრალოდ სხვა დონეა. მადრიდელთა რიგებში არარეალური დონის ფეხბურთელები თამაშობენ. რეალის ნახევარდაცვის გამეორება შეუძლებელია – სხვა მოდრიჩი, კროოსი, ისკო და კაზემირო არ არსებობს. მე-2 ტაიმში მეტოქისთვის პრობლემების შექმნა მოვახერხეთ. ჩვენ იმ ფეხბურთს ვთამაშობდით, რომელიც რეალს არ მოსწონს. კმაყოფილი ვარ იმით, გუნდმა 0:2 ანგარიშზე როგორი რეაგირებაც მოახდინა. როდესაც ანგარიში 1:2 იყო, მარკუს რეშფორდს საუცხოო შანსი ჰქონდა, როდესაც ერთი-ერთზე გავიდა. ბოლო წამამდე ვიბრძოლეთ, რაც საუცხოოა. გულწრფელად გეტყვით, რომ ამ ბიჭების გაწვრთნა მიხარია. ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში პირველად მაქვს უცნაური გრძნობა, რომ ისინი

საქართველომ მსოფლიო მოგებით დაიწყო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მეორე ნახევარიც ქართველთა შეტევებით დაიწყო და უპირატესობასაც მეთოდურად ვიმტკიცებდით. გუნდის ლიდერობა ერეკლე არსენიშვილმა და ირაკლი კბილაშვილმა იტვირთეს. მეტოქეს პირველმა 9, ხოლო მეორემ 7 ბურთი გაუტანეს. არსენიშვილი კი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დამსახურებულადაც დასახელდა.

საქართველოს ნაკრებს მცირე ჩავარდნა მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე დაეწყო, როდესაც ალჟირს 9-ბურთანი სხვაობით ამარცხებდნენ. ბექა ორჯონიკიძის შეგირდები მოდუნდნენ, უხეშობასაც უმატეს და ერთდროულად ორი მოთამაშეც 2 წუთით გაგვიძევეს. აფრიკელებმა ამით ისარგებლეს და სხვაობა 4 ბურთამდე შეამცირეს.

საბოლოოდ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა 28:24 გაიმარჯვა და ჯგუფიდან გასასვლელად უდიდესი ნაბიჯი გადადგა.

ჯგუფის მეორე შეხვედრას საქართველოს 19 წლამდე ნაკრები იაპონიის წინააღმდეგ გამართავს.

გერმანია-ჩილე 39:22

ჩვენი ჯგუფის მეორე შეხვედრაში გერმანიამ ჩილესგან ქვა ქვაზე არ დატოვა. გერმანელები არა მარტო ჯგუფის, არამედ ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტებიც არიან, მაგრამ 17-ქულიანი სხვაობით გამარჯვება ხუმრობა საქმე როდი გახლავთ. შესვენებამდე გერმანელთა უპირატესობა არც ისე აშკარა იყო, სასტარტო მღელვარებამ ფავორიტების თამაშს თავის დაღი დაასვა. მიუხედავად ყველაფრისა, გერმანელებმა ტაიმი 17:12 მოიგეს და დანარჩენი საქმე მეორე ნახევრისთვის გადადეს.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში გერმანელთა თავკაცმა იოჰან ბეპლერმა ფაქტობრივად სათადარიგო შემადგენლობა ათამაშა, თუმცა სწორედ მათ ისეთი თამაში გააჩაღეს, რომელი იყო ძირითადი და რომელი მეორე შემადგენლობა, კაცს გარჩევა გაუჭირდებოდა.

საბოლოოდ გერმანიამ 39:22 გაიმარჯვა და ჯგუფში პირველობისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა.

ისლანდია-იაპონია 26:24

იაპონელთა ბევრი მცდელობის მიუხედავად, ისლანდიამ კარგად დაწყებული საქმე კარგადვე დასრულა. ისიც აღვნიშნოთ, რომ ისლანდიელთა გამარჯვებაში მცირე წვლილი ქართველსაც აქვს – კუნძულელთა სამწვრთნელო შტაბში ქართველი სპეციალისტი, ვეტერანი ხელბურთელი როლანდ ერაძე მოღვაწეობს.

ისლანდიამ მძლავრად დაიწყო, ერთი პერიოდი 6 ბურთის სხვაობითაც დაწინაურდა, მაგრამ იაპონელებმა თამაში დაალაგეს და ტაიმი 2 ბურთით წააგეს – 12:14.

შესვენების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა: იაპონია უკეთ ათამაშდა, ჩინებულად გათამაშებული კომბინაციების გარდა, გუნდი დაცვაშიც ყურადღებით თამაშობდა და ტაიმის შუაში ანგარიშის გათანაბრება და დაწინაურება მოახერხა – 20:18.

მეტზე იაპონელებს ძალა არ ეყოთ, დასკვნითი წუთები ჩააგდეს და მატჩიც წააგეს...

ა ჯგუფი

საფრანგეთი-ბაჰრეინი 42:20

ფრანგები საქართველოს დედაქალაქში ჩემპიონის რანგში ჩამოვიდნენ. მათ პლანეტის უძლიერესი გუნდის ტიტული 2015 წელს რუსეთში გამართულ ჩემპიონატზე მოიპოვეს. რაგასაკვირია, რომ საფრანგეთის გუნდი თბილისის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ნომერ პირველ ფავორიტად მოიაზრება და ბაჰრეინელი ხელბურთელების მთავარი ამოცანა მეტოქისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა იყო. მათ ეს მხოლოდ პირველი 25 წუთის მანძილზე მოახერხეს, ტაიმის მიწურულს კი ფრანგებმა 7-ბურთიანი გაქცევა მოუწყვეს და 20:13 დაამარცხეს.

მეორე ტაიმში საფრანგეთის ნაკრების უპირატესობა აშკარა იყო და მათ ისე ითამაშეს, როგორც ჩემპიონებს შეეფერებოდათ. ბაჰრეინელებმა მეორე ნახევარში მხოლოდ 7 ბურთის გატანა შეძლეს, მაშინ როდესაც, ფრანგებმა მათი კარის ბადე 22-ჯერ შეარხიეს.

დანია-ეგვიპტე 29:28

აფრიკელებს სულ ცოტა დააკლდათ სკანდინავიელებთან შეხვედრაში მინიმუმ ფრისთვის გამოეკრათ ხელი, რაც სახელბურთო სამყაროსთვის მოულოდნელობა იქნებოდა.

დანიის ნაკრებმა ფავორიტის სტატუსი მხოლოდ ტაბლოზე დაფიქსირებული შედეგის წყალობით გაამართლა, თორემ თამაშის ხარისხი აშკარად მეტის სურვილს ტოვებდა. რაც შეეხება ეგვიპტის ნაკრებს, მათ იმაზე უკეთესი და სიმპათიური გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, ვიდრე ერთი შეხედვით შეგვეძლო წარმოგვედგინა. შეხვედრის ორივე ტაიმი იდენტური სცენარით მიმდინარეობდა. დანიელები მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ, თუმცა მეტოქის ზურგსუკან სუნთქვას მუდამ გრძნობდნენ. ეგვიპტის ნაკრები მოწინააღმდეგეს გაქცევის საშუალებას არ აძლევდა, ბოლოს კი სულაც მატჩის გადარჩენაც შეეძლოთ, როდესაც ბოლო წუთზე და ანგარიშით 29:28-ზე თავგამოდებით უტევდნენ, თუმცა გათანაბრება ვეღარ მოახერხეს.

შვედეთი-ნორვეგია 23:20

პირველი სათამაშო დღის ყველაზე მწირგოლიანი მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. სკანდინავიურ დერბიში რომელიმეს უპირობო გამარჯვება იწინასწარმეტყველო, ძალიან ძნელია. ერთიც და მეორეც სახელბურთო ქვეყანად ითვლება და მათი შეხვედრები ნებისმიერ ასაკობრივ კატეგორიაში უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობს. ასე იყო ამ შემთხვევაშიც. პირველიდან ბოლო წუთამდე უშეღავათო ბრძოლა და ანგარიშში გარდამავალი უპირატესობა.

ნორვეგიელები ბოლოსღა გატყდნენ. მაშინ, როდესაც თითქოს მოვლენები მათთვის სასიკეთოდ ვითარდებოდა და 3-ბურთიანი სხვაობით (18:15) იგებდნენ, შვედებმა ბრჭყალები გამოაჩინეს და 7-ბურთიანი გაქცევა მოუწყვეს. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა და შვედებმა პრინციპული მეტოქე 23:20 დაამარცხეს.

ს ჯგუფი

ბრაზილია-სკორეა 33:35

დღის უხვგოლიანი მატჩი – გუნდებმა ერთმანეთი არ დაინდეს, გოლები დააყარეს და მაყურებელს მხიარული სანახაობა შესთავაზეს.

მატჩის საწყისი წუთები ბრაზილიელებისა გახლდათ, თუმცა კორეელებმა სამბურთიანი ჩამორჩენა მალევე გაათანაბრეს და მე-10 წუთიდან მოყოლებული, ვიდრე 58-ე წუთამდე, თამაში, როგორც იტყვიან, ქულა-ქულაში მიდიოდა. პირველი ტაიმი 18:18 დამთავრდა, ხოლო შემდეგ ორბურთიანი სხვაობა პირველად მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე დაფიქსირდა.

მატჩის კულმინაცია კი დამთავრებამდე ორი წუთით ადრე დადგა. კორეელებმა იმძლავრეს, ცოტაც გაუმართლათ და თამაშიც სათავისოდ დაამთავრეს – 35:33.

არგენტინა-პოლონეთი 22:26

პოლონელები ტურნირზე ვენესუელის მაგივრად მოხვდნენ და პირველივე მატჩში იმარჯვეს. მიუხედავად იმისა, რომ მე-2 ტაიმის შუაში არგენტინამ ანგარიშის გათანაბრება და ორჯერ წინ გასვლაც შეძლო, ოსვალდო კარლოს ლოპესის გუნდი მაინც დამარცხდა.

პოლონელთა სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ მატჩის მიწურულს სამჯერ ჩაჭრეს მეტოქის შეტევა და რამდენიმეწამიანი კონტრიერიშები ზუსტი ტყორცნით დააგვირგვინეს.

ხორვატია-პორტუგალია 30:30

თამაში ძალიან დაძაბულად წარიმართა. პირველი ნახევარი პორტუგალიამ მოიგო – 16:14, მეორე ტაიმში ხორვატებმა იგივე ანგარიშით იმარჯვეს, საბოლოოდ ფრე – 30:30.

თამაშის უკანასკნელ წუთზე გუნდებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ ხორვატების შეტევა მეკარემ მოიგერია, პორტუგალიელებმა კი ბურთი კარს ააცილეს.

დ ჯგუფი

ესპანეთი-რუსეთი 32:20

ესპანეთის ნაკრებმა ზედმეტი თავის ტკივილისა და დაძაბულობის გარეშე დაამარცხა რუსეთის ნაკრები. მენდეშ სუარეშის შეგირდებს არც ერთი წუთით დაუყენებიათ ეჭვქვეშ 2 ქულის საკითხი. პირნიელებმა ერთი ამოსუნთქვით ჩაატარეს მატჩისთვის განკუთვნილი დრო და ტრიბუნაზე შეკრებილ მაყურებელს სიამოვნება მოჰგვარეს. ისინი დასაწყისშივე დაწინაურდნენ და რუსებს ანგარიშში სხვაობის შემცირების საშუალებაც არ მისცეს.

მატჩში საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა: ესპანელთა თავკაცმა არცთუ დამაჯერებლად მოთამაშე მეკარე რამირეს სანტანა ტორეს ერერათი შეცვალა და ამის შემდეგ ესპანეთს პირველი ტაიმის 13 და მეორე ნახევრის 4 წუთი (სულ 17 წუთი) გოლი არ მიუღიათ.

სერბეთი-მექსიკა 29:18

სერბმა ახალგაზრდებმა მექსიკასთან მატჩის საწყის წუთებშივე დაამტკიცეს, რომ ჩემპიონატის ფავორიტებად ითვლებიან. ნენად მაქსიჩის გუნდმა მეტოქეს თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზა და მე-9 წუთისთვის უკვე 6:0 დაწინაურდა, ხოლო ტაიმი ათბურთიანი სხვაობით – 15:5 მოიგეს.

მეორე ტაიმი მოულოდნელად მექსიკელთა უპირატესობით დაიწყო. ისინი 4:0 დაწინაურდნენ კიდეც. სერბებმა მეორე ტაიმის პირველი გოლი მერვე წუთზე გაიტანეს. მათმა თავკაცმა სხვაობის შემცირების ოდნავი საშიშროება რომ იგრძნო, მოედანზე ძირითადი მეკარე დააბრუნა, ვინც რამდენიმე რთული დარტყმულის მოგერიებით განაპირობა კიდეც ჯამში სერბეთის იოლი გამარჯვება.

სლოვენია-ტუნისი 26:29

ტუნისმა, ვინც წინა მსოფლიო პირველობაზე მე-16 ადგილზე გავიდა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ სლოვენიას 29:26 მოუგო. ჩრდილოაფრიკელებმა ბალკანელებს პირველ ნახევარშიც აჯობეს – 15:13.

მონდომება, ჟინი და მეტოქის შეცდომები – ამის ხარჯზე დაამარცხა ტუნისმა მეტოქე. მეორე ტაიმის დასაწყისში იანეზ კლემენჩიჩის გაწვრთნილი სლოვენიელები დაწინაურდნენ, თუმცა იესინ არფას გუნდი მალე მოეგო გონს, ტუნისელთა მონდომებულ თამაშს კი სლოვენიელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს.

შედეგები

8 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას	სუპერთასი
რეალი-მანჩესტერი	2:1
ჰოხტუგალია. ჰხიმეიხა ლიგა	
მრიტიმუ-ფერეირა	1:0
ხუსეთი. ჰხემიეხლიგა	
სკა ხაბაროვსკი-ანჟი	2:0
ამკარი-უფა	0:0

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ილონ მასკი და ემბერ ჰერდი დაშორდნენ



კომპანია ტესლას დამფუძნებელი ილონ მასკი ამერიკელ მსახიობ ემბერ ჰერდს დაშორდა. ამ ინფორმაციას დეილი მეილი ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ მასკმა მიიღო 31 წლის ჰერდთან ურთიერთობის გაწყვეტის გადაწყვეტილება. ინფორმირებული წყაროს ცნობით, „მსახიობი სრულიად გამოფიტულია“, რაც მომხდარითაა გამოწვეული.

– მან ურთიერთობა ერთი კვირის წინ გაწყვიტა. მან მისი გარკვეული ქცევების შესახებ შეიტყო, რომლებიც მას არ მოეწონა, – განაცხადა ინფორმირებულმა წყარომ.

ინკოგნიტო ინფორმატორის თქმით, ჰერდს შეუძლია იყოს მეტად ეგოისტური და მანიპულირების უნარიც აქვს.

ამ დროისთვის მასკი ლოს-ანჯელესში დაბრუნდა, ხოლო მსახიობი ავსტრალიაში დარჩა.

შეგახსენებთ, რომ მასკისა და ჰერდის ურთიერთობის თაობაზე ხმები 2017 წლის დასაწყისში გავრცელდა. აპრილში მასკმა ემბერ ჰერდთან თავისი რომანტიკული ურთიერთობის თაობაზე გავრცელებული ხმები დაადასტურა, როდესაც ინსტაგრამში შესაბამისი ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

ავსტრალიის ზოოპარკში დინოზავრების მოდელებს თავები მოახერხეს

ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში უცნობმა პირებმა დინოზავრების ეროვნული მუზეუმის შენობაში შეაღწიეს და სამ მოდელს თავები მოახერხეს.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ ღამით მოხდა, თუმცა მას მედიისთვის ეს ფაქტი მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი. დინოზავრების ფიგურები, რომლებიც მინაპლასტიკატისგანაა დამზადებული, მუზეუმის შენობის გარეთ გამოფინეს. ბოროტმოქმედებმა წვრილი ხერხი ან საჭრელი მანქანა გამოიყენეს, რათა ველოცირაპტორების მოდელებისთვის თავები მოეჭრათ. მათ ფიგურების მოჭრილი ნაწილები წაიღეს და სატვირთო ავტომობილით გაიქცნენ. ავტომობილი სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს.

პოლიციის სერჟანტ რობ ანდერსონის თქმით, დამნაშავეებმა სავარაუდოდ დინოზავრების თავების ტროფეის სახით დატოვება გადაწყვიტეს. პოლიციის ადგილობრივი დეპარტამენტის თანამშრომლებმა ვანდალებზე ძებნა გამოაცხადეს. ასევე მიმდინარეობს მოჭრილი თავების ძებნაც. როგორც მუზეუმის თანამშრომლებმა განაცხადეს, მოდელების აღდგენა შესაძლებელია, თუმცა ამისთვის დაკარგული დეტალებია საჭირო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზღვის კიბოსნაირებმა ავსტრალიელი მოზარდი დაკბინეს

ავსტრალიის ქალაქ მელბურნში წყალში მობანავე მოზარდი მტაცებელმა კიბოსნაირებმა დაკბინეს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი ტელეარხი ავრცელებს.

16 წლის სემ კენიზეიმ ოკეანეში დაახლოებით ნახევარი საათი დაჰყო, ცივი წყლის გამო მან ვერ იგრძნო, რომ მას ფეხებზე მიეკრო და ღრღნა დაუწყო მინიატურულმა კიბოსნაირებმა. ნაპირზე ამოსულმა მოზარდმა ფეხის გულებზე სისხლი შენიშნა, თუმცა ამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია.

სახლში მან ტკივილი იგრძნო, ამასთან სისხლდენა არ წყდებოდა. მოზარდის დედის თქმით, სემის ჭრილობებიდან წამოსული სისხლი გუბედ დადგა. მშობლებმა მოზარდი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ექიმები მიიჩნევენ, რომ ჭრილობები მალე შეუხორცდება და ნაიარევები არ დარჩება.

სპეციალისტებმა ვერ მოახერხეს იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელმა არსებებმა დაუზიანეს ფეხები მოზარდს. ბიოლოგ ჯეფ ვეიერის ვარაუდით, ეს არსებები კიბოსნაირი-ამფიპოდები იყვნენ.

კიევის მახლობლად იგუანი დაიჭირეს

უკრაინელმა ცხოველთა მაშველებმა გაქცეული იგუანი დაიჭირეს, რომელიც კიევის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სოფელს აფარებდა თავს.

სოფელ კრუშნიკის მცხოვრებმა ქალბატონმა ცხოველთა მაშველების გუნდს შესჩივლა, რომ მის ბოსტანში უკვე რამდენიმე კვირაა დინოზავრი დადის და ყაბაყს უჭამს. ქალის თქმით, მან მთელი მოსავალი შეუჭამა და მწკრივები გაუნადგურა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა ერთ მეტრზე მეტი სიგრძის იგუანი აღმოაჩინეს, რომელიც სახლის მახლობლად ბუჩქზე იჯდა. მაშველების თქმით, ცხოველი სავარაუდოდ დიდი ხნის წინ თავისი პატრონისგან გაიქცა, ვინაიდან ის საკმაოდ გამოფიტული და დაუძლურებული იყო.

მაშველებმა იგუანი დაიჭირეს და კიევის ზოოპარკის ვეტერინარულ საავადმყოფოს გადასცეს.

ამერიკაში ჟესტების ენის მცოდნე ორანგუტანგი მოკვდა

ორანგუტანგი სახელად ჩანტეკი, რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ ჟესტების ენა აითვისა, ატლანტის ზოოპარკში 39 წლის ასაკში დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

ჩანტეკი ერთ-ერთი პირველი ორანგუტანგი იყო, რომელმაც ჟესტების ენა ისწავლა და მისი დახმარებით ზოოპარკის თანამშრომლებთან ურთიერთობდა, თუმცა ამავე დროს სიმორცხვის გამო უცნობებთან ურთიერთობას გაურბოდა და ასეთ დროს პრიმატებისთვის ჩვეულებრივ ღრიალს მიმართავდა. გარდა ამისა, ჩანტეკს შეეძლო დაელაგებინა შენობა. დაემზადებინა ინსტრუმენტები, ასევე ეჩვენებინა მარშრუტი უნივერსიტეტიდან ადგილობრივ ფასტფუდ-რესტორნამდე.

ორანგუტანგს ბოლო დროს გული აწუხებდა.

ავსტრალიის კაფემ თანასწორობის მიზეზით მამაკაცებისთვის ფასები გაზარდა

ვეგეტარიანულმა კაფემ ზანდსმე ზერ-მა, რომელიც ავსტრალიის ქალაქ მელბურნში მდებარეობს, მამაკაცებისთვის ფასები გაზარდა, რათა ამით ქალის შრომის დაბალი ანაზღაურების კომპენსირება მოეხდინა.

მამაკაცებს, რომლებიც დაწესებულებას სტუმრობენ, 18 პროცენტით მეტის გადახდა უწევთ. ეს დაახლოებით შეეფარდება საშუალო განსხვავებას ქვეყანაში მამაკაცისა და ქალის ხელფასს შორის. სტატისტიკის სახელმწიფო ბიუროს მონაცემებით, 2015 წელს მამაკაცები ქალებთან შედარებით 17,25 პროცენტით მეტს გამოიმუშავებდნენ.

კაფეს მფლობელის ალექს ობრაიენის თქმით, მას სურდა ამით ადამიანების ყურადღება მიეპყრო შრომის არათანაბარი ანაზღაურებისთვის.

– მე მომწონს, რომ ეს მამაკაცებს აიძულებს, ოდნავ მაინც დაფიქრდნენ საკუთარ პრივილეგიებზე, – განაცხადა კაფეს მფლობელმა.

ასევე, მისი მტკიცებით, მისი დაწესებულების კლიენტების რეაქცია ამ სიახლეზე დადებითი იყო.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგბია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ასტროპროგნოზი

10 აგვისტოსთვის

ვერძი – ოჯახური ურთიერთობები კონფლიქტურია. აგრესია სრულ კრახს გამოიწვევს. საყვარელ ადამიანებს მეტი სითბო აჩუქეთ. ** კურო** – თქვენი გეგმების შესახებ ნურავის უამბობთ, შესაძლოა, მათ განხორციელებას ვინმემ ნებისთ თუ უნებლიეთ ხელი შეუშალოს. **ტყუპები** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობა გაქვთ. ეცადეთ, ემოციები არ გამოავლინოთ. **კირჩხიბი** – მზად იყავით არასასიამოვნო მოულოდნელობისათვის. ოჯახის წევრებთან პრინციპულობა არ ივარგებს. **ლომი** – ქალაქგარეთ გასვლისაგან თავი შეიკავეთ. საქმიან პარტნიორს პრეტენზიებს ნუ წაუყენებთ. **ქალწული** – დღე, სავარაუდოდ, მძიმე იქნება. ეცადეთ, უფროსობასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ. **სასწორი** – მთლიანობაში, წარმატებული პერიოდია. სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტა მოგიწევთ. ახალი ნაცნობობა იღბლიანი იქნება. **ღრიანკალი** – ძალზე აქტიური და საქმიანი დღეა. მიუხედავად დაბრკოლებებისა, დიდ წარმატებებს მიაღწევთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ სიცრუეს, რაც, შესაძლოა, კონფლიქტის მიზეზი გახდეს. თქვენს საქმეში სხვას ნუ ჩარევთ. **თხის რქა** – უსიამოვნო ინფორმაცია ცუდ გუნებაზე დაგაყენებთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობა გეცვლებათ. **მერწყული** – ოჯახში ფსიქოლოგიური კლიმატი მთლიანად თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. ემოციები და საუბრის მანერა აკონტროლეთ. **თევზები** – დაისვენეთ, მიიღეთ სრულფასოვანი საკვები, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. ერიდეთ ყოველგვარ ნეგატივს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ღამე თევზაობა ჩირაღდნის გამოყენებით; 2. უფროსი მღვდელი ქართულ ეკლესიაში; 3. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 5. გურიასა და აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 7. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 9. დაკონსერვებული პროდუქტებით გამოწვეული მძიმე მოწამვლა; 13. ერთუჯრედიანი, მიკროსკოპული ორგანიზმი, ბაქტერია; 15. კორიდის მთავარი მონაწილე; 16. გია დანელიას კინოკომედია; 18. პურეული მცენარე.

თარაზულად: 4. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 6. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 8. ინდური იგავ-არაკების კრებული; 10. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 11. სამკითხაო ბანქო; 12. საათის მექანიზმი; 14. შექსპირის ტრაგედია; 17. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა; 19. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 20. მეცნიერება მეღვინეობის შესახებ; 21. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 22. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 23. გამჭვირვალე მქრქალი ფაიფური.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. წახნაგი; 2. ჭანები; 3. შტურმანი; 4. რაფინადი; 7. დარდანელი; 8. ჟოეკვარა; 12. ოდოგრაფი; 14. დიაგრამა; 16. რუსთავი; 17. მორჩილი; 19. „იავა“; 20. აურა.

თარაზულად: 5. „კავკასია“; 6. კატალონია; 9. ხანუმა; 10. ბეშუმი; 11. მედეა; 13. მდადი; 15. „ლინატე“; 18. გურია; 21. ბაქტრიანი; 22. აბსურდი; 23. რაშკული.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაზიერი; 2. მარიჯანი; 3. დვალეთი; 5. „გეორგიკა“; 7. „ფინდელი“; 9. სამტრედია; 13. სისტოლა; 15. არწივი; 16. მაღარო; 18. ომალო.

თარაზულად: 4. ჰალოგენი; 6. კრასნოვი; 8. მიტროპოლიტი; 10. პოდესტა; 11. მითი; 12. ალგეთი; 14. „მარკა“; 17. „ჰერში“; 19. ეწერი; 20. ჯაბახანა; 21. არგო; 22. ლიმნოლოგი; 23. სორბონა.

ქეთი მელუამ და გორის ქალთა გუნდმა ბერლინის ფესტივალზე პირველი ადგილი მოიპოვეს

მომღერალმა ქეთი მელუამ და გორის ქალთა გუნდმა ერთობლივი საკონცერტო ტურნეები ევროპაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. მათ კონცერტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ანშლაგებით ჩაატარეს.

ქეთი მელუას და გორის ქართა გუნდის ერთობლივმა ნამუშევარმა ბერლინის ფესტივალზე გამარჯვება მოიპოვა. „პერფექტ ვორლდ“ – „უნაკლო მსოფლიო“ პირველი ადგილი დაიმსახურა. ეს სიმღერა, რომელზეც ქეთი მელუამ ანიმაციური ვიდეორგოლი გადაიღო, მის ერთ-ერთ ბოლო ალბომშია შესული.

ინფორმაცია ბერლინის ფესტივალზე გამარჯვების შესახებ გორის ქალთა გუნდის ხელმძღვანელმა თეონა ცირამუამ გაავრცელა:

– დილიდან კარგი ამბავი! ჩვენმა ქეთი მელუასა და გორის ქალთა გუნდის ანიმაციამ, პირველი ადგილი აიღო ბერლინის ფესტივალზე.

მარკუს მეტრეველმა პირველი კოლექცია იტალიაში წარადგინა



მომღერალმა მარკუს მეტრეველმა დიზაინერობა დაიწყო. საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნებულმა მომღერალმა მაშინვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება თავისი ორიგინალური ჩაცმულობითა და აქსესუარებით, ამიტომაც მარკუსმა გადაწყვიტა, საკუთარი ბრენდი შექმნას.

„მარკუს მეტრეველი“ – ასე ერქმევა ბრენდს, რომელსაც ქართველი მომღერალი აწარმოებს. მოდასთან მარკუსს დიდი ხანია შეხება აქვს, ის სხვადასხვა სამოდელო სააგენტოებში დეფილეს და მოდის ისტორიას ასწავლის.

მომღერალმა გადაწყვიტა, შექმნას სამოსი იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც ჩაცმულობა არა რიგითი აუცილებლობა, არამედ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

კარგი სიმღერის გარდა, მარკუს მეტრეველი კარგადაც ხატავს, ამიტომ მამაკაცის და ქალის კოლექციების შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. ეს იქნება ყოველდღიური სამოსი, რომლის ტარებაც მოდურ და გემოვნებიან ახალგაზრდებს შეეძლებათ.

მარკუსის სადებიუტო ჩვენების პრეზენტაცია, არც მეტი, არც ნაკლები, იტალიაში შედგა.

მარკუს მეტრეველი:

– არტ კაფსულა ჩვენება იტალიაში წარმატებით შედგა! პირველად საქართველოდან იქ, სადაც პირველად მის იტალია ჩატარდა, თინეიჯერმა მოდელებმა ღირსეულად წარადგინეს ჩემი პირველი კოლექცია. მადლობა თქვენ. მასალა დამუშავდება და მალე ნახავთ სრულად.

მაკა ზამბახიძე ქმარს გაშორდა

მომღერალი მაკა ზამბახიძე ქმარს გაშორდა. ვახო ჭუმბურიძე და მაკა ერთად აღარ ცხოვრობენ.

ინფორმაცია მათი გაშორების შესახებ არაერთხელ გავრცელდა, თუმცა მისი სისწორე არასოდეს დადასტურდა. ეჭვი წყვილის დაშორების შემდეგ ჟურნალისტებს მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც მაკა და ვახო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ერთად აღარ ჩნდებოდნენ.

მომღერალს და მის მეუღლეს ამ თემაზე საუბარი არ სურთ, თუმცა, გაყრის შემდეგ ჟურნალისტებთან მცირე კომენტარი გააკეთა ვახო ჭუმბურიძემ. მან დაადასტურა, რომ მაკა ზამბახიძეს ნამდვილად გაშორდა, თუმცა მიზეზების დაკონკრეტება არ ისურვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თამაზ ვაშაკიძეს რუსეთმა პოლიტდევნილის სტატუსი შეუჩერა

ეკატერინბურგის ოპერისა და ბალეტის თეატრის ქორეოგრაფს, საქართველოს სახალხო არტისტს, ღირსების ორდენის კავალერს, თამაზ ვაშაკიძეს, რუსეთმა პოლიტდევნილის სტატუსი შეუჩერა.

როგორც რუსული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში თამაზ ვაშაკიძე აღნიშნავს, ეს გადაწყვეტილება მან გაასაჩივრა და 10 აგვისტოს ეკატერინბურგის სასამართლო საბოლოო განაჩენს გამოაცხადებს. სწორედ ამ დღეს გახდება ცნობილი, რამდენად კანონიერია მისთვის დევნილის სტატუსის შეჩერება.

თამაზ ვაშაკიძე წლებია რუსეთში ცხოვრობს. ის საქართველოდან მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დევნის გამო წავიდა. მას ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის დატოვება მოსთხოვეს. თამაზ ვაშაკიძის თქმით, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი ამ თანამდებობაზე ნინო ანანიაშვილს მოიაზრებდა. თამაზ ვაშაკიძე დაკავებული თანამდებობიდან კვალიფიკაციის არქონის მოტივით მაინც გადააყენეს და მისი დევნაც დაიწყო. ქორეოგრაფიული სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა ნინო ანანიაშვილმა დაიკავა, თამაზ ვაშაკიძეს კი წინა მთავრობა 67 ათასი ლარის გაფლანგვას ედავებოდა.

როგორც თამაზ ვაშაკიძე აცხადებს, მას არანაირი თანხები არ გაუფლანგავს. ახლა, როცა მას პოლიტდევნილის სტატუსი შეუჩერეს, საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, პატიმრობა ემუქრება. 2013 წელს საქართველოს პარლამენტმა მისი საქმე პოლიტიკურად ცნო, თუმცა აქამდე ეს საქმე განხილული არ არის. ქორეოგრაფმა უარი განაცხადა შეწყალებაზეც, რადგან თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს.

წლებია ქორეოგრაფი საკუთარ ოჯახს მოწყვეტილია. ის მეუღლესთან და 3 შვილთან შეხვედრას ძალიან იშვიათად ახერხებს. დევნილის სტატუსის შეჩერებისთანავე, ეკატერინბურგის ოპერისა და ბალეტის თეატრმა თამაზ ვაშაკიძე ქორეოგრაფის თანამდებობიდან გაათავისუფლა. მან ეკატერინბურგის სასამართლოს საჩივრით უკვე მიმართა, რომ დევნილის სტატუსი დაუბრუნონ.

თამაზ ვაშაკიძემ რუსეთში პოლიტიკური დევნილის სტატუსი 2008 წლის თებერვალში მიიღო. 2017 წლის მაისში რუსეთმა მას სტატუსის გაგრძელებაზე უარი უთხრა. ამის მიზეზად ის დასახელდა, რომ საქართველოში მთავრობა შეიცვალა და სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში მას საფრთხე აღარ ემუქრება.

ამ ვერსიის თამაზ ვაშაკიძეს, რა თქმა უნდა, არ სჯერა და სთხოვს რუსეთის შესაბამის ორგანოებს, დევნილის სტატუსი დაუბრუნონ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მას დეპორტაცია ემუქრება, ხოლო საქართველოში დაბრუნებისთანავე დააპატიმრებენ.

გოგა ჩანადირი: „ჯერ ჩვენს თავში მოვუგოთ ომი რუსეთს და მერე ვიფიქროთ სხვა გამარჯვებებზე“



ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი რუსეთის წინააღმდეგ ქართველების მიერ ომის მოგების თემას ეხმაურება და აცხადებს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ჯერ ჩვენს თავში უნდა მოვუგოთ ომი რუსეთს და მერე ვიფიქროთ სხვა გამარჯვებებზე:

– კაროჩე, პრივეტ, ვაფშე, პაკა, ხარაშო, სპასიბა, მარშრუტკა, დავაი, სემიჩკა, მაროჟნი, პადვალი, ხადავოი, რუჩკა, ტორმუზი, კანატკა, ზაგარი, ბასეინი, პრობკა, ნაჩნიკი, ატვიორტკა, კლუჩი, ბანკა, ნასოსი, პოლი, შურუპი, ბულკი და ასე შემდეგ ძირძველი ქართული სიტყვებია.

ასე გვინდა გამარჯვება? არ გამოვა! ჯერ ჩვენს თავში მოვუგოთ ომი რუსეთს და მერე ვიფიქროთ სხვა გამარჯვებებზე.

ჯრუჭის მონასტერს აღდგენა ესაჭიროება

პოეტი მარიამ წიკლაური საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უნიკალური ძეგლის ჯრუჭის მონასტრის აღდგენაზე საუბრობს და სოციალურ ქსელში ფოტოს ავრცელებს:

– ამის გაუზიარებლობა იქნებოდა?! მე-11 საუკუნე, ჯრუჭის მონასტერი, ფოტო რუსუდან დარჩიაშვილისა. შემქმნელის გვარი არ ვიცი. მიწისძვრით დაზიანებული ტაძრის ეზოში გდია თურმე ეს კედლიდან ჩამოვარდნილი ქვა და ვერც „ქართუ ფონდი“, რომელშიც სამი სოფლის მცხოვრებლების ხელმოწერა და თხოვნაა შესული, აღდგენითი სამუშაოების დასაფინანსებლად, და ვერც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო ვერ ამბობს, როდის აღადგენენ ჯრუჭს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ეჭვმიტანილი პოლიციას ცუდი ფოტოსურათის გამო ჩაბარდა

დიდ ბრიტანეთში პოლიციას საჩივრით მიმართა ძებნაში მყოფმა ეჭვმიტანილმა, რომელსაც საკუთარი ფოტოსურათი, რომლითაც მასზე ძებნა იყო გამოცხადებული, არ მოეწონა.

სამხრეთ უელსის პოლიციის დეპარტამენტმა ფეისბუქში გამოაქვეყნა 35 წლის უეინ ესმონდის ფოტოსურათი, რომელიც დანაშაულებრივ თავდასხმაში იყო ბრალდებული და ინტერნეტ-მომხმარებლებს თხოვნით მიმართეს, რომ მისი ადგილსამყოფელის თაობაზე ინფორმაცია სამართალდამცავებისთვის მიეწოდებინათ.

განცხადების ერთ-ერთი კომენტარი თავად ესმონდმა დატოვა.

– ეს მე ვარ, – დაწერა მან, – არცთუ კარგი სურათია, მადლობელი დაგრჩებით, თუ მას წაშლით. არ ვარ დამნაშავე, სანამ საპირისპიროს არ დამიმტკიცებენ.

ესმონდმა პირობა დადო, რომ თავის ადვოკატთან კონსულტაციას გაივლიდა, შემდეგ კი პოლიციას ჩაბარდა. პოლიციის დეპარტამენტში მისი თხოვნა დაკმაყოფილეს და განცხადება და მისი ფოტო წაშალეს, თუმცა იმ დროისთვის ფოტოსურათი უკვე მას მედიაში იყო დაბეჭდილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

ხუთშაბათი 10 აგვისტო

06.00 მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ**" **წარმატებისკენ**" **10.10, 02.20** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩინატო ვეტრინე**" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 03.20** დღის მხ/ფ "**პორტი და ლამაზი**" (კ.დუგლასი) **15.00, 05.20** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცხელი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** მხ/ფ "**ჩაი მუსოლინთან**" (ჯ.დენჩი) **00.50** მხ/ფ "**მორიელთა მეფე**"

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.

07.00, 14.40 სერ. "**ელიფი**" **08.00, 16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **3-4** სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **09.20** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **9** სერ. **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.30** სერ. "**ელ პრინსიპე**" **2** სერ. **00.00** მხ/ფ "**ვერსალის ბალები**" **01.50** მხ/ფ "**პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან**" **03.45** მხ/ფ "**კერდღლის სორო**" **05.15** მხ/ფ "**ზღვისპირა ქალაქი**"

05.30, 18.45 სერ. "**კაცი**" **06.30, 19.45, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.30** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** სერ. "**ვარსკვლავის დაბადება**" **13.55** სერ. "**ფერიას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**"

08.00 ან/ფ "ავატარი" **09.00** სერ. "**მონკი 4**" **12.00, 21.00** სერ. "**კრიმინალური რომანი**" **13.00** სერ. "**ძალები**" **17.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი 5**" **19.00** სერ. "**ბრეის ანატომია 13**" **22.30** მხ/ფ "**სიზმრებზე მონადირე**" **01.00** მხ/ფ "**ბზარი**" **03.05** მხ/ფ "**დაბრალებული მკვლელები**" **05.30** მხ/ფ "**ტელევიტორინა**"

08.00 ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "სისი" **09.50, 22.35** სერ. "**სიყვარულსა და ვიშს შორის**" **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. "**უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები**" ნანსენი II ნაწ. **11.50, 1.30** მოდი გავიყაროთ **12.40** ბენეფისი **15.00** სერ. "**ბანდოლერა**" **18.00, 03.00** ღია სტუდია **19.55** მე რომ ვიყო **20.00** სერ. "**ფოილის ომი**" **21.30** რემისია **0.00** მხ/ფ "**თეთრი სპილო**" **04.00** სესერ. "**რაუ**"

06.15 ქრისტიანული სწავლება **06.25** მუს. პაუზა **06.40** პატერიკი-გლახაკთმოყვარე წმინდა გრიგოლ დიოლოღოსი **06.45** აქტუალური თემა "სასოწარკვეთილება" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ყველაზე ნელი არსება" **09.05** "განთიადი"-კოლაჟი **10.20** მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მაგულიდან**" **11.05** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-მიხეილ საბინინი **11.30** ეპოქის სახელები "ვახტანგ კოტეტიშვილი" **12.10** მხ/ფ "**ლუარსაბ თათიშარიძე**" **13.30** "შუადღის სტუმარი"-მღვდელი იაკობ ჩიჩილიძე-ზიარების სიდუმლო **13.55** "შუადღის სტუმარი"-დეკანოზი ლუკა სუპატაშვილი მარხვის შესახებ **14.30** დ/ფ "ველური ბუნება-შეტლანდის კუნძული" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-ედინბურგი" **16.15** ტრაპეზი "ქათმის ფილე სალათით-წიწიბურის ბურთულები" **16.00** კონცერტი **16.55** ქრისტიანული ხელოვნება "საეკლესიო-სამონასტრო ხელოვნება და კულტურა" **17.30** ჩვენი ფონდი "ნანა ბურჭულაძე-ღალიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი" **18.15** ერთხელ ბავშვობაში "გურამ დოჩანაშვილი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** სამყაროს შექმნა **19.10** მხ/ფ "**ფიროსმანი**" (გამარჯობა ყველას) **20.40** ძილი ნებისა "პატარა მონადირე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ზღვარზე-"შეხვედრა პატრიარქთან" **21.40** წმინდანები "ღირსი ასურელი მამა პიროს ბრეთელი" **22.00** სად უჩინარდებიან ჩემპიონები "ვლადიმერ გიოშვილი" **22.20** ჩვენი საგანძური "ვეფხვისტყაოსნის"-ილუსტრაციები **22.40** "კვირიაკეს" სიუჟეტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** წმინდანები "წმინდა ათონელი მამები" **00.10** სიახლენი **00.30** დ/ფ "შორიელთა სიახლოვე" **01.30** კონცერტი

08.00 - 03.00 ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.3910
- ევრო — 2.8393
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1432
- 100 რუსული რუბლი — 3.9548

ამინდის პროგნოზი 10 აგვისტოსთვის



1 აგვისტოდან

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

20 ივლისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ამერიკელი „მაკდონალდსში“ მოტოპარაპლანით მივიდა

ამერიკელმა ვიდეობლოგერმა ტაკერ გოტმა გადაწყვიტა „მაკდონალდსში“ ესადილა და იქ მოტოპარაპლანით გაემგზავრა. თავისი ფრენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი მან იუთუბში საკუთარ არხზე განათავსა.

– მე ხშირად მეკითხებიან, შემიძლია თუ არა მივფრინდე სასწავლებლამდე, სამუშაომდე, მაღაზიამდე. ყოველდღე ფრენა არცთუ პრაქტიკულია, მაგრამ ზოგჯერ დასაშვებად საინტერესო ადგილებს ვნახულობ. ამ რესტორანთან შესანიშნავი მინდორი აღმოჩნდა. საბედნიეროდ, ადგილობრივებმა ეს თავშესაქცევ ამბად ჩათვალეს და პოლიცია არ გამოუძახიათ, – განაცხადა გოტმა.

კოლორადოში დათვმა მანქანა გაიტაცა

ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ დურანგოში დათვმა კერძო სახლთან გაჩერებულ ყველგანმავალში შეაღწია, დააგორა და საფოსტო ყუთს დაეჯახა.

მტაცებელმა დაამტვრია მანქანის საჭე, გამოგლიჯა რადიომიმღები და ავტომობილის უკანა მინა დაამტვრია. ხმაურზე გაღვიძებულმა მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს, მაგრამ სამართალდამცავების ადგილზე მისვლამდე დათვმა შემთხვევის ადგილიდან გაქცევა მოახერხა.

სავარაუდოდ, ცხოველმა მანქანის ხელის მუხრუჭიდან გაათავისუფლა, ან ნეიტრალურ გადაცემაში გადაიყვანა სიჩქარეთა გადაცემის კოლოფის ბერკეტი. ამის შემდეგ ავტომობილი დაღმართზე დაგორდა და საფოსტო ყუთს დაეჯახა.

იუმორი

თვითმფრინავი აფრინდა და უცბად გაირკვა, რომ ას მგზავრზე მხოლოდ ორმოცი სადილი ჰქონდათ. ბორტგამცილებელი გოგონა მგზავრებს უცხადებს:

– ყოველი, რომელიც გულკეთილობას გამოიჩენს და უარს იტყვის სადილზე სხვა მგზავრის სასარგებლოდ, მთელი ფრენის განმავლობაში უფასოდ მიიღებს დასალევს.

ერთი საათის შემდეგ ბორტგამცილებელი გოგონა ისევ აცხადებს:

– თუ რომელიმე მგზავრმა გადაიფიქრა, შემიძლია გაცნობოთ, რომ ჩვენ კიდევ დაგვრჩა ოცდათვრამეტი ულუფა კერძი...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, რომ ჯონ როკფელერი ოცნებობდა იმაზე, რომ 100 დოლარი გამოემუშავებინა და 100 წლამდე ეცოცხლა?

– მერე?

– მერე ის, რომ 318 მილიარდი დოლარი დააგროვა და 97 წლის ასაკში გარდაიცვალა.

– აი ხედავ, ყველა ოცნება როდი სრულდება.

●●●

მეზობელი კარზე აკაკუნებს:

– გამარჯობათ! ჩვენ ახალი მანქანა ვიყიდეთ.

– ???

– ცოტა პურს ვერ მასესხებთ?

●●●

მოსამართლე:

– რატომ გადაწყვიტეთ, რომ მოწმე არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა?

– ის ტელეფონის ჯიხურში შევიდა, იქ ნახევარი საათი დაჰყო და იქიდან საშინელი გინებით გამოვიდა, რომ ლიფტი არ მუშაობდა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ისტორიკოსებმა სამშენებლო ხსნარის სიმტკიცის საიდუმლო ამოხსნეს, რომელიც რომის აკვადუკების მშენებლობაში იქნა გამოყენებული.

– მართლა?

– ჰო, როგორც ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, მშენებლობის დასაწყისში ასზე მეტი მშენებელი სიკვდილით იქნა დასჯილი სამშენებლო მასალების ქურდობისთვის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

საქართველომ მსოფლიო მოგებით დაიწყო

თბილისში დაიწყო 19 წლამდე ასაკის ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის პირველი დღე საკმაოდ საინტერესო გამოდგა.

ჩვენი ნაკრები ამ ფორუმზე იმის წყალობით მოხვდა, რომ ტურნირის მასპინძელია და ამიტომაც ასაკობრივ მუნდიალზე სადებიუტო წვრთნელო შტაბიც ოპტიმისტურად იყო განწყობილი. აფრიკელებთან იოლი მატჩი რომ არ გველოდა, ეს ისედაც ცხადი იყო. ალჟირელები თავიანთი კონტინენტის ბრინჯაოს პრიზიორები არიან, მათზე წინ მყოფმა გუნდებმა კი რა თამაშიც შემოგვთავაზეს, ქვემოთ წაიკითხავთ. ერთია, ჩვენი მეტოქე თბილისში ზედ მატჩის დღეს ჩამოფრინდა და დასასვენებლად ბევრი დრო არ ჰქონდა.

შეხვედრა ორივე გუნდმა თავიდანვე ფრთხილად დაიწყო და ალბათ ამიტომაც იყო, ვერც ერთმა გუნდმა გოლის გატანა 3 წუთის მანძილზე რომ ვერ მოახერხა, ბოლოს კი ნავსი ლუკა ბულბულაშვილმა გატეხა და მას შემდეგ მოყოლებული ალჟირის ნაკრები მუდამ მდევრის როლში იმყოფებოდა.

მატჩი ჩაატარა და პირველი გამარჯვებაც მოიპოვა.

დავიწყოთ ჩვენების მატჩითა და ჯგუფით...

ა ჯგუფი

საქართველო-ალჟირი 28:24

როდესაც ბაზელში გამართულ წილისყრაზე გაირკვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ალჟირის გუნდი იქნებოდა და თან მათთან სასტარტო შეხვედრაში მოგვიწევდა დაპირისპირება, ყველანი და სამაგალითოდ ... [illegible]

საქართველოს ნაკრების ხელბურთელები თავდაჯერებულად გამოიყურებოდნენ, თუმცა დაკვირვებული თვალი შეატყობდა, რომ ბიჭები მაინც ღელავდნენ. ნელ-ნელა ნერვიულობამაც იკლო და ჩვენმა გუნდმაც მარწუხებს მოუჭირა. მე-18 წუთისთვის უკვე 8-ბურთიანი უპირატესობით ვიგებდით, ხოლო პირველი ტაიმი 7-ბურთიანი ჰანდიკაპით დავასრულეთ.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. უწახნაგოდ, მრგვლად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 4. კინოცენტრი იტალიაში; 7. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 8. აეროპორტი მადრიდში; 12. ლონდონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია ცნობილი ობსერვატორია; 14. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების დაავადება; 16. ბეჭდვითი გამოცემა, იუმორისტული ნახატების სერიალი ტექსტთან ერთად; 17. შენობის სახურავად გამოყენებული თიხის გამომწვარი ფირფიტა; 19. ოფიციალური დოკუმენტი; 20. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული.

თარაზულად: 5. ოფიციალური განცხადება საერთაშორისო მოლაპარაკების შედეგების შესახებ; 6. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 9. შენიშვნა, განმარტება ტექსტში; 10. მდინარე ზუგდიდში; 11. „ტურ-დე-ფრანსი“-ს ოთხგზის გამარჯვებული ბრიტანელი ველომრბოლელი; 13. ცხელი, შაქრიანი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 15. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 18. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 21. ლექციის მოხსენების მოკლე ჩანაწერი; 22. ქალაქი იმერეთში; 23. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

შეადგინა თ.ვოვინაშვილმა